F 221
1931

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივლისი—აგვისტო 1931 წ.

# დროშა



ფასი 15 კაპ.

№ 13-14

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა მეტალურგიის გიგანტი.—კერჩის მეტალურგიული ქარხანა.

ა. გომიაშვილი

# წერილი ანდეზიტელ ამხანაგებს

F 687

I.

ჩემო კეთილო მეგობრებო,
სიყრმის დღეები —
წავიდენ, გაჰქრენ... თან წარიღეს ბავშვობა ჩვენიც.
დღეს — გუშინდელი დაღადრული მთა — ღელეები
კვნესენ და დრტვინვენ... და იფშვნება კლდეზე ჩანჩქერი...
მაგრამ მანდ ეხლა თუ ყაზბეგი დანადარდია
ჩანჩქერის დენა — ლექსის დენას ვერ შეაჩერებს.
გულებს ამღერებს: — მთაში შეჭრილ ნალმის გვარდია,
სადაც ბიჭები ინდუსტრიის ნაბიჯს აჩენენ..
და მაგონდება „გომიეთ ბიჭს“ ის ოცდაექვსი,
როცა მანდატში ჩამიწერეს: „წევრი უჯრედის“,
როცა პირველად ახალ მთაზე ვისროლე ლექსი
და ლექსზე უფრო გულს ანთებდა საქმე ბურჯების.
შემდეგ რა მოხდა — ამ წერილში რა სათქმელია.
ჩემი სიმღერა ვიცი ისიც გადმოვა გვერძნეთს
და არჩის გალმა (რომ გაჰყვებით ყანებს ქერიანს)
ჩემი სალამი გადაეცით ამხანაგ — ბერძნებს!..

დილას მზე დადნა...
ღამით ტფილისს ისე აწვიმდა,
ისე ხვიოდენ ტრამალები მაღალ მთაშივე —
თითქოს ამ ღამით იბარებდა ილიას მთაწმინდა
და მტკვარს ქუხილით გადუყარა ბარათაშვილმა.
მე მთაზე ვიდექ და ვფიქრობდი ტფილისის ცის ქვეშ,
ტფილისის ცის ქვეშ ანდეზიტელ ამხანაგებზე...
ეხლა მანდ მოვალ, სადაც ნუნუს მალავდა ცახე,
სადაც იმარჯვებს ახალი მთა — მე, რომ მამღერებს!..
— ტემპს არ ჩამორჩეთ!.
გარღვევები თუ კვლავ იალებს —
შიშველ ხანჯლებით მეგობრებო ძირშივ მოკვეთეთ..
მეც თქვენთანა ვარ — (სადაც ნალმში ლოდი ზრიალებს)
თქვენებრ მოხევის ტლუ ბიჭი და თქვენი მოკეთე!..

III.

...და მაგონდება
ჩვენი სიყრმის ქერა ქალები
ვით მხიარული წარმოდგენა საღამოის ჟამს.
ეხლა სადა ხართ...
— აქ ეძებენ თვალებს — თვალები...
ბევრის თვალები გადაჰყურებს უმიზნოდ ლაჟვარდს.
ჩვენ კომუნიზმის დროშისათვის ვიბრძოდეთ მთებში,
ვიბრძოდეთ მთებში კომკავშირის დიდო არმიავ...
რა ვუყოთ მერე თუ მოტყდება მყინვარის თეფში,
რა ვუყოთ მერე თუ ყაზბეგი დანადარდია!..
ვისაც ჰგონია „მყინვარების ანდეზიტობა“
ვეტყვით: — „მყინვარზე ნალმებიდან ცეცხლი აფრინდა! —
— მთაზე ლექსსა სწერ — და გვანახვო გინდა, ბიჭობა
არკი გცოდნია მაღალ მთების გეოგრაფია!..“
მისმინეთ ძმებო! დე, ვის როგორც ჰსურდეს იმღეროს,
ჩვენ კი შევიგრძნოთ ანდეზიტის კლდეების ხეთქვა. —
მისმინეთ, ძმებო! — სხვებმა თავის ლექსებს მიხედოს
მე კი მას ვიტყვი სიმღერებით რაც უნდა მეთქვა!...

IV.

ჩემო კეთილო მეგობრებო,
— თერგი კვლავ ღმუის,
თუ ქშუილია მყინვარიდან ისევ ქარისა —
მთები დგებიან ნალმებისგან შუბლ გადახრულნი
და დაბლა წივის ვიწრო ხევი დარიალისა..
თქვენ ორბებივით კლდეებიდან — კლდეებზე ელავთ,
მე, თქვენი გარჯის შემოვძახე გზიდან — სიმღერა. —
ჩვენ კვლავ დავრჩებით ახალ მთების ამხანაგებად, —
მთიელი ქალიც სახილეთით გადმოიხედავს...
მეც თქვენთანა ვარ...(ანდა ძმაო ვის გაექცევი
როცა შენს ირგვლივ გადმოღვრილა შრომის ხალისი...)
მეც თქვენთანა ვარ:
— ჩემი გარჯით,
— ჩემი ლექსებით,
რომ მთაშიც ჩავდოთ საძირკველი სოციალიზმის!..

# საბჭოთა ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს

## აბრეშუმის ფაბრიკა.

### ევტიხი ხუნდაძე

საუკეთესო დამკვრელი მუშა გამომგონებელი დაიბადა 1889 წ. ოზურგეთის მაზრაში სოფელ კალაგონში ულარიბესი გლეხის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწა-

ნახატი „სარმა"-ს ბრიგადის



საუკეთესო დამკვრელი მუშა,
ამხ. ჯლანტიშვილი

ვლა მიიღო იქვე სოფლად. 1908 წლიდან მუშაობას იწყებს ბაქოში ნავთის ქარხნებში, სადაც ებმება რევოლიუციონურ მოძრაობაში, ავრცელებს სხვადასხვა საწარმოებში ლიტერატურას. 1919 წ. ბრუნდება თბილისში და ზეინკალის ხელობაზე მსახურობს ცეკავშირის მექანიკურ სახელოსნოებში, შემდეგ პოლიგრაფტრესტის სტამბებში და 1928 წლიდან კი აბრეშუმის ქარხანაში. საქსოვ საამქროში მექანიკოსად, რომელიც ექვსი თვის შემდეგ გადაყვანილი იქნა მთავარი მექანიკოსის თანაშემწედ თვით ქარხნის მექანიკურ სახელოსნოში.

ამხ. ხუნდაძის გამოგონებას აქვს საკავშირო მნიშვნელობა. მან თავისი გამოცდილებით და დაუღალავი მუშაობით შესძლო დგიმების საჭრელ მანქანის გამოგონება, რისთვისაც მიიღო პრემია— გამოგონებული აქვს ავტომატიური მასრა, რაც იძლევა მასალის ეკონომიას, ამცირებს წუნს და სრულიად სპობს აბრეშუმის ნახვეწებს.

### ნიკოლოზ კიკვაძე

საქსოვ საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი მუშა, დაიბადა 1909 წ. ოზურგეთის მაზრა სოფ. სურეფში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1928 წლ. დაიწყო მუშაობა ქარხანაში პირველად შავ მუშად და შემდეგ კი თავისი დაუღალავი მუშაობით გახდა საქსოვი მანქანების ოსტატი. ის სოცშეჯიბრში, დამკვრელობაში თავიდანვე ჩაება. შეტანილი აქვს მრავალი საქმიანი წინადადებები, რომელიც ქარხანას მნიშვნელოვან შედეგს აძლევს მასალის ეკონომიაში, ასეთებია: 1) საქსოვი დაზგის ამორტიზატორის გამარტივება, რაც ამცირებს ნედლი მასალის ხარჯვას. 2) გამოგონებული აქვს ქვის ჩუქურთმების სათლელი მანქანა. 3) და უკანასკნელი ყველაზე უფრო საინტერესო ეს არის აღმრიცხველი აპარატი, რომელიც მექანიკურად აღნიშნავს სამუშაოზე მუშების გამოცხადებას დაგვიანებას, დაგვიანების და გაცდენის დროს, რაც თავის მხრივ უსათუოდ უდიდეს გავლენას მოახდენს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე.

ნახატი „სარმა"-ს ბრიგადის



დამკვრელი მუშა ჩარხთან

### გრიგ. ვერულაშვილი

დაიბადა 1914 წ. სენაკის მაზრაში, სოფ. საჭილაოში ულარიბეს გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ფოთის პროფტეხნიკურ სკოლაში. 1927 წლიდან მუშაობა დაიწყო სარეწაო კავშირის სახელოსნოში ზეინკალის ხელობაზე. 1929 წლიდან კი აბრეშუმის ფაბრიკაში. დღეს ის კომუნისტური პარტიის წევრია, მან ჩამოაყალიბა საქსოვ დაზგების დამხმარე მექანიკური ბრიგადა, რომლის მუშაობა საკმაო ინტენსიური იყო საქსოვ დაზგების შეკეთებაში, რამაც გეგმის შესრულებაში დიდი როლი ითამაშა.

შეტანილი აქვს პრაქტიკული წინადადებები: საქსოვ დაზგის ქსელის მუხრუჭის კონსტრუქციის სრულიად შეცვლის შესახებ, მისი გაუბრალობის საფუძველზე, რაც იძლევა ლითონის დაზოგვას, რამოდენიმე ათას ფუთის რაოდენობით.

### პელაგ. ასლამაზაშვილი

ტფილისის საბჭოს წევრი, საქსოვ საამქროს საუკეთესო დამკვრელი მუშა ქალი. დაიბადა 1905 წელს ქ. ტფილისში მუშის ოჯახში. 1924 წლიდან მუშაობს შინამრეწველობის განყოფილებებში, ხალიჩების მქსოველად, შემდეგ ფეიქართა კავშირში და 1929 წლიდან კი აბრეშუმის ქარხანაში. საკუთარი ინიციატივით საქსოვ საამქროში ჩამოაყალიბა დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

### იროდიონ თხილაძე

დაიბადა 1877 წ. სოფელ ჭოპორში, დუშეთის მაზრაში, ღარიბ გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ქ. დუშეთში. 1894 წლიდან მუშაობს ტფილისში კაზლოვსკის სტამბაში, საიდანაც იწყებს რევოლიუციონურ მუშაობას. 1903 წელს ხაჩატუროვის სტამბაში აწყობს წარმოებებში წრეებს და ავრცელებს პოლიტიკურ ლიტერატურას. ხელმძღვანელობს დიდ გაფიცვას დუჩიძე და ვადაჭკორიასთან ერთად. 1903-5 წლებში ორგანიზატორია ბათომში კაპლანას ქარხანაში წარმოებულ გაფიცვის, რის გამოც ის დაიჭირეს და მთავარმართებელ გოლიცინის ბრძანებით

ნახატი „სარმა"-ს ბრიგადის



დამკვრელი მუშა ამხ. კუზნეცოვი
(სარემონტო ქარხანა)

გადასახლებული იქნა ჩრდ. კავკასიაში ეკატერინოდარში, რევოლიუციონერები მას ზედმეტ სახელად ეძახდენ „ჩიტო"-ს.

ამხ. თხილაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტერორისტულ აქტებში, მაგა-

ლითად პროვოკატორ ვიქტორ კოხანკის და ეკატერინოდარში შტრეიკბრეხერ ბუბნოვის წინაალმდეგ.

აბრეშუმის ქარხანაში მუშაობა დაიწყო 1930 წლიდან და თავიდანვე ჩაება სოცშეჯიბრში, რის გამოც ის წარდგენილია პრემიაზე რაც. ბიუროში თხილაძეს მრავალი წინადადებები აქვს შეტანილი, რაც თვალსაჩინო შედეგებს მისცემს წარმოებას.

## მაუდის ფაბრიკა

### გიორგი ქორიძე

დაიბადა 1912 წელს ქუთაისის მაზრა სოფ. გამოჩინებულში, მაღაროს მუშის ოჯახში. 1928 წლიდან მუშაობდა ქუთაისის მექანიკურ ქარხანაში ზეინკალის

ნახატი „სარმა"-ს ბრიგადის



დამკვრელი მუშა ამხ. მოდელაძე

ხელობაზე. 1929 წლიდან კი ტფილისის მაუდის ქარხანაში სათელავი განყოფილებაში. 1930 წლიდან ებმება ბრიგადულ მუშაობაში, შეტანილი აქვს პრაქტიკული წინადადებები სათელავი მანქანის რამკის გამარტივების შესახებ: გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული, რისთვისაც სათანადოთ იქნა დაჯილდოებული.

### პეტრე სოვდაგაროვი

დაიბადა 1906 წ. ტფილისში თუთუნის ქარხნის მუშის ოჯახში. ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო 1930 წლიდან აპარატურის სათელსარეცხის განყოფილებაში, მაუდის მრეცხავად. 1930 წ. ჩამოაყალიბა ბრიგადა, რომელიც უმთავრესად შესდგებოდა კომკავშირელ ახალგაზრდობიდან. ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა დაახლოებით, 36%, რისთვისაც მთელმა ბრიგადამ მიიღო გარდამავალი დროშა. შეტანილი აქვს წინადადებები სარეცხ მანქანის თუჯის კლაპანების გადაკეთების შესახებ, რაც იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიას.

### ალექსანდრე ბახტაძე

საქსოვ საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი მუშა-ქალი, დაიბადა 1910 წ. სოფ. დიდიჯიხაიშში. ღარიბი გლეხის ოჯახში მაუდის ფაბრიკაში მუშაობა



დამკვრელი მუშა დაზგასთან

დაიწყო 1930 წლიდან და მაშინათვე ჩაება სოცშეჯიბრებაში, და დამკვრელ ბრიგადაში. სამაგალითო მუშაობისათვის, სოცშეჯიბრებაში წარმატებისათვის მიიღო ჯილდო.

### ნინა სხირტლაძე

დამხარისხებელი საამქროს საუკეთესო დამკვრელი ქალი, დაიბადა 1888 წელს რაჭაში—1918 წლიდან მუშაობდა მკერვალად. 1923 წლიდან საზოგადოება „მწყემსი"-ს წარმოებაში დამხარისხებელის ხელობაზე. 1929 წლიდან იწყებს მუშაობას მაუდის ფაბრიკაში და ითვლება საუკეთესო დამკრელად.

### სიმონ კიწმარიშვილი

დაიბადა 1886 წ. ოზურგეთის მაზრა სოფ. ბჟოლეთში, გლეხის ოჯახში. 1917 წლიდან მუშაობდა ტფილისის საქონლის სადგურში. 1918 წლიდან მუშაობდა არალეგალურად ოზურგეთის მაზრაში, რის გამოც მენშევიკების მიერ იქნა დატუსაღებული. მონაწილეობას იღებდა გლეხთა აჯანყებაში ჩოხატაურში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და ხელმძღვანელი შტაბის წევრი იყო, რის შემდეგ ის კვლავ ჩაუვარდა ხელში მენშევიკების ჯალათებს.

1921 წლიდან მუშაობდა ბათომის სანაპირო არტელში. 1928 წელს მუშაობდა სადგურში გაერთიანებულ ფაბკომის ხელმძღვანელად, 1928-29 წლებში იყო გაგზავნილი საქართველოს საფეიქრო ტრესტიდან მოსკოვში კვალიფიკაციის მისაღებად. დაბრუნებისას ის შეუდგა მუშაობას მაუდის ფაბრიკაში, სადაც ის ითვლება ბრიგადის ხელმძღვანელად, საწარმოო კომისიის თავმჯდომარეთ.

შეტანილი აქვს წინადადებები დაახლოვებით ოცდა-ათამდე, გამოგონება კი ხუთი. 1) მზა საქონელის დამკეცი მანქანა, რომელიც წლიურად იძლევა 6.000 მან. ეკონომიას. 2) დამზომი და გამხვევი მანქანა. 3) მექანიკური გამსინჯი. 4) გასაწურავი მანქანის სამკლავის გამოცვლა, რაც იძლევა მუშა ხელის და დროის დიდ ეკონომიას. 5) საშრობი მანქანაზე გამწმენდის გამარტივება, რაც იძლევა 1.000 მანეთის ეკონომიას.

## 26 კომ. სახელ. ქარხანა

### ალექსან. სუტარიხინი

სამჭედლო საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი მუშა დაიბადა 1888

ნახატი „სარმა"-ს ბრიგადის



დამკვრელი მუშა ამხ. ავსაჯანოვი, რომელმაც ხელი მოაწერა სესხზე თვენახევრის ხელფასის რაოდენობით.

წ. ქალ. ვიადკეში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. 1910 წ. მოეწყო ვიადკეს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. 1928 წ. გადმოვიდა ტფილისში და მუშაობას იწყებს საყუდში ზეინკლად. 1930 წ. მაისში მოეწყო 26 კომუნ. ქარხანაში და აქედან ჩაება დამკვრელობაში და სოცშეჯიბრში. შეტანილი აქვს პრაქტიკული წინადადებები შტამპისა და ძანჭიკების დამზადების საქმეში.

### არტაშ მელიქიანი

საკრაოტო საამქროს ერთ-ერთი დამკვრელი მუშა დაიბადა 1904 წ. ყარსში გლეხის ოჯახში. 1924 წლიდან ის მუშაობს 26 კომუნარების სახელობის ქარხანაში ზეინკლის ხელობაზე. მან საკუთარი ინციატივით ჩამოაყალიბა ბრიგადა, რომელმაც გეგმა 11%-ის გადაჭარბებით შეასრულა.

# გერმანიის კომპარტიის მუშაობა სოფლად




გერმანიის კომპარტია დიდ მუშაობას აწარმოებს გლეხთა შორის. მრავალმა საწარმოო უჯრედმა შეფობა აიღო სოფლებზე და აწარმოებს იქ საагიტაციო მუშაობას.

ს უ რ ა თ ზ ე: დროშის გადაცემა შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლისათვის.

**რაჟდენ გვეტაძე**

# ფრთხილად მტკვარო!

## ნარმის ქოლგა დაიხა

ტკბილად მოუბარი და წყნარი მტკვარი, ვერის ხეივნებში ოდესღაც მოსეირნე კეკლუც ქალის ხაზარდასავით რომ ერხეოდა გუშინ ტალღები, ამ დილით რაღაც ნირშეცვლილი და გაავებულია.

მისი ფსკერი, სადაც ჩაცვენილ ვარსკვლავებთან ერთად ყოველ კენჭს დაითვლიდა კაცი, თანდათან თვალჩაუწვდენი და წკვარამივით ბნელი ხდება.

ცაც ბურუსიანია და ისე დაბალი, რომ შეიძლება მარჯვე პიონერმა ერთ ახტომაზე ხელი შეახოს.

ქარხნების მილებიდან ბამბის ქულებივით ამოყრილი ბოლი იქვე უერთდება ღრუბლებს და პაპანაქების მაგიერ, ივლისისათვის უჩვეულო სიგრილე დგას.

წინწკვლა დაიწყო.

უცებ ცა ისე არახრახდა, თითქოს მთელი ქალაქი თუნუქით ყოფილიყო გადახურული და გაგიჟებული ხარები ზედ ურემს მიაქროლებდნენ.

ცამ კიდევ უფრო ძირს დაიწია და ეს უზარმაზარი ნარმის ქოლგა ერთბაშად ელვის ისრებმა დახიეს.

ელვას დამაყრუებელი ქუხილი მოყვა, ქუხილს მეხის ჭახჭახი და... ერთ წუთს ყველაფერი დაწყნარდა, დაამდა.

მაგრამ მალე წვიმის მსხვილი წვეთები აშხაპუნდენ, მერე ეს წვეთები უამარ თოკებათ იქცენ და აქამდე ოდნავ ფაფარ აქოჩრილი მტკვარი, უკვე ქანამდით დაჭერილ ულაყივით აჭიხვინდა.

ეხლა ზვინების ტოლა მისი ტალღები შხუილით ეხეთქებიან ნაპირებს და გააფთრებული მდინარე კალაპოტში ვეღარ ეტევა.

ფრთხილად მტკვარო! ახალ თბილისს შენ არავინ მოგცემს საჯირითოდ.

## კაცი და კასრი

წვიმამ გადაიკარა.

ქაცვიანმა ქარმა ღრუბლები გედებივით წინ გაირეკა და „მზემ თვალი გააჭყიტა".

დაცალიერებულ ქუჩებში გამოჩნდნენ მგზავრები.

მთაწმინდიდან დაქანებული რუები კვლავ ჩხრიალებენ და პროსპექტზე ჩამოტანილ ხრეშთან გუბეებად დგებიან.

იკითხოს აგერ იმ ქალმა, კაბა რომ კოჭებამდე დაუგძელებია, თორემ მე ეს გუბეები რას დამაკლებენ!

ტრამვაის რაღა უშლის? რატომ ვაგონები გაყინულ ჩიტებივით გაჩერებულან აქა-იქ და არ იძვრიან?

მტრების ჯასახარათ, ეტყობა მტკვარი აღარ ხუმრობს.

მინდა მისი „მავნებლობა" ადგილზევე ვნახო და ბავშივით მივრბი.

ვერის დალმართის თავთან მკაფიოდ ისმის მტკვარის ხმაური, რომელიც გააფთრებულ ლომების ჯოგის ღრიალს უფრო ჰგავს.

სირბილითვე ვუახლოვდები ვერის ხიდს და თვალი მიჭრელდება:

ეს მტკვარი კი არა, აბობოქრებული ზღვაა.

სადღაა ვერის პარკი, სანაპირო ქუჩა!

შევდივარ ხიდზე და რაღაც უცნაური შიში მიპყრობს: ასე მგონია იმ ბორანივით ეს ხიდიც აიწევს და მაშინ...

თვალისდახამხამების უმალ, სახლის ოდენა ბორანი გაშმაგებულმა ტალღებმა ბზრიალასავით დაატრიალეს და ჩემს ქვეშ—ხიდის დედა-ბოძებს მარილივით მიაფშვნეს.

მოდი და ნუ შეგეშინდება!

გამოსაქცევად გამზადებულს უცებ ადამიანის უცნაური ყვირილი მომესმა და მოაჯირს მოვეჭიდე.

ეს ყვირილი არ გავს ხმელეთზე მყოფის ხმას, ეს სტიქიასთან მებრძოლის უკანასკნელი ძახილია, რომელსაც საცაა გახელებულ მდინარის თქეში ჩაახშობს.

გული ხელით მიჭირავს და თვალები გადმოცვენაზე მაქვს — გაალმასებული ცქერის შემდეგ ძლივს ვარჩევ:

ცარიელ კასრზე ორივე ხელით ჩაბღაუჭებულ ადამიანს ტალღები ხან ქვეშ მოიქცევენ, ხან ზევით ბურთივით ისვრიან.

ის უკვე აღარ ყვირის, ალბად გაიგუდა ან შველის იმედი სავსებით დაკარგა, თუმცა დაღუპვის შემდეგაც ძნელი იქნება მისი ხელიდან კასრის გამოცლა, ისე არიან ერთმანეთზე ჩახორცებულნი.

დაღუპვით კი უთუოდ დაიღუპება, მაგრამ ეს ვინაა გაცოფებულ მდინარეში რომ ისარივით გადაეშვა? ვის მოძულებია თავი?

უცნობი ფოლადის მკლავებით ზედიზედ აპობს ტალღებს და ელვის სისწრაფით კასრიან კაცს უახლოვდება. აჰა, ერთი ნაბიჯი-ღა თუ იქნება მათ შორის!

ამ დროს მთის ოდენა ზვირთი ყალყზე დგება და კასრიანი კაცი და მისი მშველელიც ერბაშათ ქრებიან.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მარტო კასრი.

ისინი, ისინი რაღა იქნენ?

გული ყელში მეჩრება და უნებლიეთ მოაჯირზე ისე სახიფათოთ შევმდგარვარ, რომ ვიღაცას უკანიდან ხელი არ წაევლო, კასრიან კაცზე უარესი დამემართებოდა.

გონზე მოსულმა ისევ მოვავლე თვალი გამძვინვარებულ მდინარეს და. . . როცა დავინახე ნაპირზე მიმდგარი უცნობი, რომელსაც უკასროთ დარჩენილი კაცი უკვე ხმელეთზე გაეგდო, სიხარულისაგან ტაში შემოვკარ..

## ოე, ოე!

თითქოს ფრთები მასხია.

წყალში დამხმარე საზოგადოების გუშაგის--ივანიშვილის ვაჟკაცობამ ძალა გამიორკეცა და ისე მივრბი, რომ მიწაზე ფეხს არ ვაკარებ:

უნდა რიყელებიც ვნახო.

გული არ მითმენს და კარლ მაქსის ხიდისაკენ ვუხვევ.

გავცქერი მდინარეს მუხრანის ხიდამდე და თვალებს არ ვუჯერი:

მარცხნივ სალ-ქიმზე დაშენებულ სახლის პირველ სართულის ფანჯრებში წყალი შეჭრილა, ხოლო მეორე კედაროს, მარჯვნით, სრულებით აღარ ჩანს ხე-ტყის ქარხნის ეზო, საიდანაც აზვირთებული ტალღები ჩხირებივით მიაქანებენ ქვევით თეთრტანა უშველებელ მორებს.

აღარც ნავებზე შემდგარი წისქვილებია იმ არე-მარეზე.

— ერთი მუხრანის ხიდიდანაც გადავხედავ ამ ვერაგს!

გავიფიქრე და გზას თოკივით ვიხვევ ფეხებზე.

ხიდზე შედგომისთანავე ვხედავ: ზევიდან შუა მდინარეში მოცურავს კამეჩი, მაგრამ ის არ ითხოვს შველას კასრიან კაცივით.

მოცურავს მშვიდად, წყნარად.

ხანდახან დააპირებს ნაპირებისაკენ გადახვევას მაგრამ, წამოწეული ზვირთები ამის ნებას არ აძლევენ.

თანდათან ახლოვდება.

უკვე მოვარგარე მზეზე მის გიშროვან თვალებს უცნაური კიაფი გააქვთ.

უეცრათ ხიდთან მორევმა ჩაითრია და ეხლაკი ალმოხდა:

ოე, ოე!

მორევი ერთ ალაგას ჯარასავით ატრიალებს ამ ქედლონიერ ცხოველს და. . . ბოლოს რეტდასხმულს რქებით აჯახებს ხიდის კლდოვან ფუძეს:

კამეჩი ჩაიძირა.

მალე, ხიდის მეორე მხარეს, მისი რქები დაცლილ ყანწებივით ისროლეს ტალღებმა.

რაღაცა გულდაწყვეტილი ვშორდები ხიდს.

## უბანი წყალში.

მივადექი რიყეს.

მთელი უბანი ახლო-მახლო ქუჩებით წყალშია.

მეხანძრენი, მუშები და წითელ-არმიელები საარაკო მეტოქეობას უწევენ გაბოროტებულ მდინარეს, რომელიც ცდილობს იქაურობის წალეკვას.

წყალში დამხმარე საზოგადოების გუშაგებს ხმელეთზე ნავებით გამოყავთ სადგომებში დარჩენილი ბავშვები, ქალები და მოხუცები.

ირგვლივ გულის მზარავი ზრიალია.

მდინარის ნაპირზე მდებარე საწყობებში ხელცალიერი შესული მტკვარი დატვირთული გამოდის.

ერთი სახლის ფანჯრიდან, რომელსაც მდინარე ზედ მოაჯირთან უტყლაშუნებს ტალღებს, თმაგაწეწილი ქალი კივის და თან ძუძუმწოვარა ბავშს გულში ორივე ხელით იხუტებს.

— მიეშველეთ!

ისმის ბრძანება, რომელსაც ამ წუთში დაკარგული აქვს თავისი მკაცრი კილო, მაგრამ მისი ასრულება კი ყველას სწადია.

ერთი ნავი შურდულივით გაექანა ფანჯრისაკენ და ვიღაცის ჯანიანმა მკლავებმა ბავშიანათ ქალი ნავში გადმოსხა.

ნავი ჯერ კიდევ სახლთან იყო, როცა მდინარე ფანჯარაში შევარდა. .

## თბილისის გული

თბილისი მდუმარეთ შეხვდა დილას.

საყვირების ხმაზე ქარხნების საკვამურებიდან დღეს ინდუსტრიის მტრედები არ ამოფრენილან.

ქალაქის მაჯა ოდნავ ფეთქს.

წუხელ ქუჩაში გამვლელს თავი აკლდამაში მეგონა:

უკუნი გარეთ, უკუნი, შინ!

რა მოხდა?

ზაჰესი, ეს თბილისის გული, ეს ახალ თბილისის, პროლეტარულ თბილისის პირველი მერცხალი გათავხედებულ მტკვარს ხელში ჩაუგდია და ამიტომაა მთელი თბილისი დაოსებული.

მტკვარო, გინდა რკინის ლაგამს თავი დაალწიო მაგრამ ცდა ამაოდ ჩაგივლის.

ხანმოკლეა მტრების გამკილავი ღიმილიც

ზაჰესს ფუძეები შენს მკერდში ღრმად აქვს ჩამდგარი და მათ შერყევას ათათ რომ იქცე, მაინც ვერ შესძლებ.

ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მაინც მაინტერესებს საკუთარი თვალით ვნახო—რა დღეშია ზაჰესი.

უახლოვდები ოქროს ჩიტების ბუდეს და მოულოდნელად შიშმა გამკრა: მთავარი საგუბარი თვალუწვდენელი მორევი გამხდარა, ჩვეულებრივზე 4 მეტრით მაღლაა მისი დონე და მერე როგორი სიძლიერით ეხეთქება კარშხალს!

კარშხალის ფარები ყველა ღიაა, მაგრამ გაამაყებული მტკვარი თაკილობს რკინა-ბეტონის ხვრელებში გაძრომას.

ის უკანასკნელ შეტევას აწარმოებს და გააფთრებულს მოაქვს ხორგი, ფიჩხი, ქვიშა, დაშლილ ტივების მორები, საოჯახო ხაბაკი და ყველაფერს არხის სათავეს აყრის, რომ ზედ გადაახტეს.

მუშების უამრავი რაზმები, წითელარმიელები და მეხანძრენი ბარიკადებს-ბარიკადებზე აცლიან მტერს და თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ, მტკვარი უკვე ვეღარ ბედავს ახალ იერიშზე გადმოსვლას.

ღამის 12 საათზე ამოძრავდა ერთი გენერატორი, ნაშუაღამევს სხვა გენერატორებიც აგუგუნდენ და ოქროს ჩიტები გუნდებად გაფრინდნენ ქალაქისაკენ.

მთელი ღამის ნაბრძოლი და უძინარი მუშები ზაჰესიდან პირდაპირ ფაზგებს დაუბრუნდნენ.

# უკრაინული პროლეტარული პოეზია

## პავლო ტიჩინა

**
*

მე არაფერი არ მიყვარს ისე
როგორც ქარი
თამაში ქარის.
წყეული ქარი! და ჭინკა ქარი!
ამოვარდება—უკვე მზათ არის
სტვენა. ღლავილი და ქარიშხალი.
წამი და ტყეში
დატრიალდება —
თითქოს ჭინკები
უვლიდენ დავლურს...
ანდა გადახნულ უსაზღვრო ველზე
სისწრაფეს მისცემს
მძიმე ვაგონებს.
თვალს ვერ მოასწრებ,
გაფრინდებიან ისე რელსებზე.
ხედავ: მწკრივებად
ალვის ხეები თავს რომ უკრავენ.
წყეული ქარი! და ჭინკა ქარი!
ზის ინდოეთში
რაბინდრანატი.
მშფოთვარე სული ჩვენში არ არის
თიხის კაცნი ვართ.
მობლავის ქარი უკრაინიდან,
უკრაინიდან.
და დასავლეთიც ისე გვიყურებს
რომ ვერ გაარჩევ:
სახე აქვს კაცის თუ დიდ ნადირის.
მობლავის ქარი უკრაინიდან,
უკრაინიდან.
წყეული ქარი! და ჭინკა ქარი!
და ატივტივებს დნეპრში გადაყრილ
მოკვეთილ თავებს.
ნუღარ მოელით კეთილს პანებო
საბედისწერო არის თამაში.
მე არაფერი არ მიყვარს ისე
როგორც ქარი
ტრიალი ქარის.
მისი შორი გზა, დაბადება, შემდეგ სიკ-
ვდილი
და მიწა კიდევ
მიწა ჩვენი.

**თარგმანი შალვა აფხაიძის.**

## ვოლოდიმერ სოსიურა

**
*

მელანდებიან ეშელონები
და შორეული ზღვის ნაპირები.
ეჰი, ესკადრონებო!

ისმის ფიჭვების ხმაური...
ეს—გული არ სცემს საფრთხეს და განგაშს
და არ ტრიალებს როგორც ბზრიალა

[ ბრწყინავ ფოლადზე დანაკირები—
წითლდება მიწა და უფსკრულებზე
მიჰქრის გიჟურად.
გრგვინვით დავტენეთ ტელეფონები
ხიშტებით მოგვაქვს
ელვათა კონა
ისმის წყვდიადში
მკვახე ძახილი:
—წინ! წინ! წინ!
შრიალებს დროშა
მაღაროებზე.
ისმის ჭიხვინი
წითელ ცხენების
და ორთქმავალის
ღლავილი გზებზე.
მავთული აფრქვევს
ნაპერწკლებს, ზარებს.
და ცისარტყელას
მოაქვს რადიო —მძლავრი დღეები.
და როგორც გრგვინვას
ტელეფონებში
კვლავ მილიონთა
მარშში მოვაქცევთ
ჩვენ სტიქიათა მაღალ სტიქიას.
მელანდებიან ეშელონები
და შორეული ზღვის ნაპირები.
ეჰი, ესკადრონებო!
ისმის ფიჭვების ხმაური...
ეს—გული არ სცემს საფრთხეს და განგაშს
და არ ტრიალებს როგორც ბზრიალა

[ ბრწყინავ ფოლადზე დანაკირები—
წითლდება მიწა და უფსკრულებზე
მიჰქრის გიჟურად.

**თარგმანი შალვა აფხაიძის.**



ზუგდიდი: სამალარიო სადგური



სომხეთი: ტუფის დამზადება



ტყიბული:—ახალი მექანიკური ქარ-
ხნის მშენებლობა დაწყებულია



ზუგდიდი:—„საქ. ჩაი“-ს საცდელ
სადგურის ჩაის პლანტაცია

ც. კ.

# სასირეთის განძი

იმ ადგილას, სადაც მტკვარი უერთდება თერამს, გაშენებულია სოფელი სასირეთი. სოფლის შუა ადგილას არის სასაფლაო, სადაც ეხლაც მარხავენ მიცვალებულებს.

ამას წინად საფლავის გათხრის დროს ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს ნივთები: ეგრეთ წოდებული კობანური ტიპის ნაჯახი, ორი პრტყელი ნაჯახი, 3 ამორძალების ნაჯახი, ორი ხანჯალი, რომლებიც შედარებით კარგათაა შენახული, ხანჯლების ნამტვრევები, ოთხი ცხენის ლაგამი, ორი გედის ქანდაკება, თხის ქანდაკება და ფეხებიანი ჭურჭელი, რომლის თავზეც გამოხატულია ჩიტი.

ნივთებთან აღმოჩენილი არ ყოფილა ძვლების და საფლავის არავითარი ნიშნები. აშკარაა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს მი-



ნახატი 2. ამორძალის ნაჯახი

წაში ჩაფლულ განძთან, ან მის ნაწილთან. ხამწუხაროდ, შემდგომი გათხრის წარმოება შეუძლებელი შეიქნა, რადგან განძეულის ადგილი გარშემორტყმულია ახალი საფლავებით,

რომელ კულტურას და რომელ დროს ეკუთვნის აღმოჩენილი განძი?

არქეოლოგი **გ. ნიორაძე** ამ ნივთებს აკუთვნებს უძველეს ხანას. მათ მიწაში გაატარეს სამი ათას წელზე მეტი და ეკუთვნიან ბრინჯაოს ხანის ბოლოს და რკინის ხანის დასაწყისს.

მშვენიერად გაკეთებული ლაგამი (ნახატი 1) მოწმობს, რომ ამ კულტურის მატარებელი ხალხი, რომელიც ამიერ-კავკასიაში სცხოვრობდა, უკვე დიდი ხანია სარგებლობდა ცხენით, როგორც მიმოსვლის საშუალებით.

ეგრეთ წოდებულ ამორძალების ნაჯახებს (ნახატი 2) ვხვდებით მხოლოდ და მხოლოდ ამიერ-კავკასიაში. უძველესი გა-



ნახატი 1. ცხენის ლაგამი

დმოცემით ამორძალები სცხოვრობდნენ შავი ზღვის ნაპირებზე და მათ ახლო მდებარე ქვეყნებში. არქეოლოგ **გ. ნიორაძის** მიერ 1927 წ. ზემო-ავჭალაში წარმოებულ გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა საფლავი ქალის ჩონჩხით, რომელშიაც ეწყო აგრეთვე ბრინჯაოს ხმალი, შუბი და ხანჯალი. ეს იყო ქალის საფლავში იარაღის, განსაკუთრებით კი ხმლის და შუბის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა.

ხომ არ იყო ეს ამორძალის საფლავი?

უნებურად იბადება აზრი, რომ ამორძალები მითი არ არის. ამ აზრს ამტკიცებს არქეოლოგ **როსტოვცევის** მტკიცება იმის შესახებ, რომ ამორძალები ნახევრად ისტორიული ხალხია.

რაც შეეხება გედების გამოსახულებას (ნახატი 4), მათ უკეთებდნენ ჯოხებს, რომლებსაც ატარებდნენ მეომრები, ანდა რომლებსაც ხმარობდნენ დროშებისათვის.

სამფეხა ლამაზი ჭურჭელი (ნახატი 3) ალბად იხმარებოდა რიტუალური მიზნებისათვის.

აღმოჩენილი ხანჯლები სხვა და სხვა ფორმისაა. ხანჯლების აღმოჩენა ხშირი არქეოლოგიური მოვლენაა ამიერ-კავკასიაში.



ნახატი 3. სამფეხა ჭურჭელი.

ყველა აღმოჩენილი ნივთები თავისებური გემოვნებით არის გაკეთებული. ეს ამტკიცებს, რომ ეს, ჯერ კიდევ შეუსწავლელი კულტურა საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა.



ნახატი 4. გედის ქანდაკება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდუსტრიალური ფოტო—ეტიუდი



დონბასი. მაკეევკის მეტალურგიული ქარხანა

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



განჯა.—ახალი საფეიქრო ფაბრიკა



ტფილისი.—ფიზკულტურის სასახლე ლენინის რაიონში



პერევისის მაღაროები (ჭიათურა). მარგანეცის სარეცხი დამკვრელი ქარხანა



ქ. კანაკირი (სომხეთი). მდ. ზანგზე დაიწყო 25.000-
ძალიანი ჰიდრო-სადგურის აგება



გამოფენაზე



ტფილისი.—საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა ახალი სახლი



ტფილისი.—დიდუბეში შენდება სამ სართულიანი სა-
დეპოს მუშებისათვის.

## ფეროშარგანეცის პირველი ქარხანა საბჭოთა კავშირში



ზესტაფონში შენდება ფერომარგანეცის ქარხანა, რომელიც პირველია მთელ საბჭოთა კავშირში.

**სურათზე:** ფერომარგანეცის საცდელი ელექტრო ხარშვა.

## ალზევანს წასვლა

**ტიციან ტაბიძე**

არც ისე შორსაა ეს ალზევანი,
თუმცა პირველად დღესა ვარ აქა.
სჯობს გამოტეხა... არ გვაქვს ქართველებს
უცხო ქვეყნების მოვლის მარაქა.

მაგრამ მომესმის ქართველ მეურმის
მე სევდიანი ტრედის ღუღუნი.
თითქოს ამ ხმების მადანი იყოს
ეს თვალ-უწვდენი კლდეთა ჯურღმული.

--ალზევანს წავალ მარილზე
მარილს მოვიტან ბროლსაო.
ჯერ დედას გადავეხვევი
მერე შვილსა და ცოლსაო.

ასე მგონია ცა გაიპო და
გულზე მომედვა ათასი შვილდი.
ასე მგონია ერთად ამღერდა
ათასი ვანო სარაჯიშვილი.

ლამაზი ცოლი.... მარილი ბროლი
და სიხარულის ცრემლის კურცხალი.
გულზე მოუშვეს ყველა ღარებით
ადიდებული ბერდუჯის წყალი.

სდგანან თუჯების მოურავები
აყუდებული ზაბილონამდე.
ათასს სალამურს ხმა შეუწყვია
ალიონიდან ალიონამდე.

ასე მგონია კამეჩის უღლით
მეც პოეზიის მივალ ალზევანს.
და რა იქნება ისეთი ტვირთი
ვერ გაუბედა წელმა აწევა.

ივნისი 1931 წ.

# საუკეთესო დამკვრელი მუშები

**ნახატი „სარმა-“ს ბრიგადის**



დამკვრელი მუშა, კომკავშირელი



საუკეთესო დამკვრელი მუშა



დამკვრელი მუშა ამხ. **შალვა სარაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. ბ—ძე.

# ამუნდსენი არ აღმოჩნდა რუდოლფის კუნძულზე

## ა. ფიალას წინასწარმეტყველება არ გამართლდა

წელს კაცობრიობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა არქტიკის მიუვალ სივრცეების დასაპყრობად. მიმდინარე ზაფხულზე არქტიკაში მოეწყო ორი დიდი ექსპედიცია, ერთი შერეული, გერმანია საბჭოთა ექსპედიცია დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინი“-თ და მეორე საბჭოთა ექსპედიცია ყინულის მჭრელ „მალიგინ“-ით. ორივე ექსპედიციამ დაასრულა მუშაობა, ამიტომ საჭიროა ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ მათ ნამუშევარს.

დირიჟაბლი „ცეპელინი“ მიზნად ისახავდა არქტიკის დღემდე შეუსწავლელ ადგილების გამოკვლევას, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა. დირიჟაბლის საშუალებით აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი ახალი კუნძულები, ამას გარდა მნიშვნელოვანი შესწორებები იქნა შეტანილი აქამდე ცნობილ კუნძულების ადგილმდებარეობის რუქაში. ამას გარდა „ცეპელინ„-ზე სწარმოებდა მეტეოროლოგიური და ოკეანოგრაფიული დაკვირვებები.

მთელ ამ ექსპედიციაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დირიჟაბლის შეხვედრა ფრანც იოსების მიწაზე ყინულის მჭრელ „მალიგინ“-თან. როგორც წინასწარ იყო გათვალისწინებული, დირიჟაბლი დაეშვა წყალზე ყინულის მჭრელის გვერდით და მოხდა მათ შორის ფოსტის გაცვლა-გამოცვლა.

დირიჟაბლს არ უცდია ჩრდილოეთ პოლიუსზე გაფრენა, რადგან არ იყო საამისო მეტეოროლოგიური პირობები. „ცეპელინ“-ის ექსპედიციამ ნათლად დაამტკიცა, რომ დირიჟაბლებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ არქტიკის შესწავლის საქმეში.

ყინულის მჭრელი „მალიგინი“ ორ მიზანს ისახავდა: ერთი იყო ტურისტული („მალიგინ“-ზე იყვნენ უცხოელი ტურისტები, მათ შორის ცნობილი **უმბერტო ნობილე**) და მეორე საგამოკვლევო-სამეცნიერო. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. ი. ვიზე.

„მალიგინ“-ის ექსპედიციამ დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოეთში. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, არქტიკის ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა **ანტონ ფიალამ** სთხოვა ექსპედიციის ხელმძღვანელობას, მისულიყო რუდოლფის კუნძულამდე და მოეძებნა იქ **როალდ ამუნდსენი** რომელიც, მისი აზრით, ცოცხალია და იქ სცხოვრობს.

თუმცა პროფ. ი. ვიზეს ეს მოსაზრება ყოველგვარ საბუთს მოკლებულად მიაჩნდა, მაგრამ ის დაპირდა, რომ ინახულებს რუდოლფის კუნძულს, და ყველა ზომებს მიიღებს ჩრდილოეთის და სამხრეთ პოლიუსების სახელოვანი გმირის მოსაძებნად.

„მალიგინ“-მა მიაღწია რუდოლფის კუნძულს, ექსპედიციის წევრებმა დაწვრილებით დაათვალიერეს კუნძული, მაგრამ **ამუნდსენის** კვალი არ **აღმოჩნდა.** ამრიგად, ა. ფიალას წინასწარმეტყველება არ გამართლდა.

აღსანიშნავია ერთი საყურადღებო დეტალი-უცხოელმა ტურისტმა, ამერიკელმა ჟურნალისტმა რუდოლფის კუნძულზე ა. ფიალას ქოხის დათვალიერების დროს (ა. ფიალამ თავისი ექსპედიციით ამ კუნძულზე გაატარა 1904 წლის ზამთარი) იპოვა მისი საათი. პროფ. ვიზემ ნება დართო მას წაიღოს საათი ამერიკაში და გადასცეს ა. ფიალას.

„მალიგინ“-ს რ. ამუნდსენის გარდა უნდა ეწარმოებია დირიჟაბლ „იტალია“-ს ეკიპაჟის იმ ნაწილის ძებნა, რომელიც დაიკარგა საჰაერო გემის კატასტროფის დროს. 29 ივლისს „იტალია“-ს კაპიტანმა **უმბერტო ნობილემ**, რომელიც მონაწილეობას იღებდა „მალიგინ“-ის ექსპედიციაში, როგორც ტურისტი, პროფ. ვიზეს წარუდგინა განცხადება, რომელშაიც სთხოვდა მას **წასულიყო ალექსანდრეს მიწისკენ და მოეძებნა იქ პროფესორი პონტრემოლი.** ნობილე დაწვრილებით აღწერს თავის განცხადებაში „იტალია“-ს კატასტროფის სურათს.

„იტალია“-ს ავარია შეემთხვა ფოინის კუნძულის ახლოს. დირიჟაბლის ზედაპირის ყინულებით დაფარვის გამო, ის თანდათან კარგავდა სიმაღლეს და ძირს ეშვებოდა. დირიჟაბლის ეკიპაჟმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება ბალასტის გადაყრით. უკანასკნელ წუთში გაცემული იქნა ბრძანება გადაეყარათ მთელი სურსათი, აპარატურა და მოწყობილობა, მაგრამ არაფერმა არ უშველა. დირიჟაბლი უფრო და უფრო ძირს იწევდა. ახლოვდებოდა კატასტროფა. „იტალია“ 85-90 კილომეტრის სისწრაფით მიექანებოდა ყინულისაკენ. პირველად ყინულს დაეჯახა მოტორების გონდოლა. გონდოლა მოსწყდა დირიჟაბლს. მორიგე მექანიკოსები დაჯახების დროს გაჭყლეტილი აღმოჩნდენ. დირიჟაბლი სიმძიმისაგან განთავისუფლების გამო ისევ აფრინდა, გადაყირავდა, გადმოყარა კაპიტანის გონდოლიდან ხალხი და გაექანა ფრანც-იოსების იწისკენ.

**დირიჟაბლმა გაიტაცა პროფესორი პონტრემოლი და ეკიპაჟის ნაწილი,** რომელიც „იტალია“-ს საბალასტო განყოფილებაში იყო.

10-15 წუთის შემდეგ კაპიტანის გონდოლიდან გადმოყრილებმა დაინახეს, რომ ჰორიზონტის იმ ნაწილში, სადაც მიიმალა „იტალია“ უცბად გაჩნდა კვამლის ტალღა. ეჭვს გარეშეა, აფეთქდა დირიჟაბლი.

თუ პონტრემოლი და მისი ხალხი არ დაიწვენ დირიჟაბლის ჩამოვარდნის დროს—ისინი, შესაძლებელია, ცოცხალი არიან. უდაოა, რომ დირიჟაბლი დაეცა სადღაც ალექსანდრეს მიწის მახლობლად, და თუ ამასთანავე ხალხი უვნებელად გადარჩა, მათ შეეძლოთ მიეღწიათ ნაპირამდე.

კალ-ნეილზე არსებული ბაზა კი თამამად უზრუნველყოფს ხუთ კაცს ყოველგვარი მოწყობილობით და სურსათით სამი წლით მაინც.

მთელი იტალია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ამ ჟამად „მალიგინს“—ასე ათავებდა თავის განცხადებას უმბერტო ნობილე.

ყინულისმჭრელი იმ ღამესვე მოიხსნა ღუზიდან და გაემართა ალექსანდრეს მიწისკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, პროფ. პონტრემოლის მოძებნა შეუძლებელი შეიქნა, რადგან საშინელმა ქარიშხალმა და მრავალწლოვანმა ყინულებმა საშუალება არ მისცეს „მალიგინ“-ს მიახლოვებოდა ალექსანდრეს კუნძულს.

„იტალია“-ს ეკიპაჟის ნაწილის დაკარგვის ამბავი კვლავ ბურუსით არის მოცული.



მარცხნივ—დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“ ლენინგრადზე.
მარჯვნივ—პროფ. სამოილოვიჩი, პროფ. მოლჩანოვი და „ცეპელინ“-ის კაპიტანი ეკნერი დირიჟაბლის გონდოლაში

# სოციალ-ფაშისტები



ფილგლერი

ბრიუნინგი

კრუპი

აი ვის პოლიტიკას უჭერენ მხარს

და ერთგულად ემსახურებიან გილფერდინგ-ზევერინგ-ბრაუნები.

გერმანიის ბურჟუაზიის ერთგული მსახურები

მარცხნიდან მარჯვნივ: ცერგიბელი, კაუცკი, ნოსკე, ბერნშტეინი, ზევერინგი, ვისსელი, ველსი.

აი ესენი — პარტიული და პროფჩინოვნიკები უჭერენ ერთხმად მხარს გილფერდინგ-ველსების პოლიტიკას, ესენი შეადგენდნენ ყრილობის დელეგატების ცხრა მეათედს. მუშები უკვე აქცევენ ზურგს სოციალ-ფაშისტებს და გადადიან კომუნისტურ პარტიაში.

(ტექსტი იხ. შემდეგ გვერდზე)

ბ. ფულაძე

# დასრულებული წრე

## გერმანიის სოციალ-დემოკრატია კაპიტალიზმის მკურნალის როლში

„ლეიპციგში ამჟამად მიმდინარეობს გერმანიის უდიდესი რესპუბლიკანური, უდიდესი სახელმწიფო, უდიდესი ბურჟუაზიული პარტიის ყრილობა“-ო, — სწერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის გახსნისას ბურჟუაზიული „ბერლინერ ტაგებლატ“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია არ შეადგენს გამონაკლისს მეორე ინტერნაციონალის სხვა პარტიებიდან—ყველანი ისინი უკვე დიდი ხანია გადაიქცნენ ბურჟუაზიის ერთ-ერთ პარტიად: მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას აქვს უპირატესობა, რომელსაც მას ვერ წაართმევს მეორე ინტერნაციონალის ვერც ერთი პარტია: მას ბადალი არა ჰყავს თავისი ბურჟუაზიის სამსახურში და ბურჟუაზიის მსახურად გადაქცევის თეორეტიულად „დასაბუთებაში“.

ამ მხრივ 1914 წ. 4 აგვისტოს აშკარა ღალატი—ხმის მიცემა ვილჰელმის მთავრობისათვის სამხედრო კრედიტების საკითხში, არ წარმოადგენს არავითარ მოულოდნელობას. ეს ნაბიჯი წარმოადგენდა ლოღიკურ დაგვირგვინებას იმ პოზიციისას, რომელსაც პარტიის ზედაფენები დიდი ხანია ადგენ და რომელსაც თეორეტიულად „ასაბუთებდა“ გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და მეორე ინტერნაციონალის ერთი ბელადთაგანი—კარლ კაუცკი.

დავიწყოთ თუგინდ იქედან, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია არასდროს არ ფიქრობდა ვილჰელმის მონარქიის დამხობაზე, რესპუბლიკანური წყობილების შემოღებაზე.

„ჩვენს პროგრამაში ერთი სიტყვაც არ არის რესპუბლიკაზე,“ — სწერდა კ. კაუცკი როზა ლიუქსემბურგს, რომელსაც უარი უთხრა მისი წერილის დაბეჭდვაზე (ამ წერილში რ. ლიუქსემბურგი ასაბუთებდა რესპუბლიკის ლოზუნგს).

1918 წ. ნოემბერში, როცა გერმანიაში დაიწყო რევოლიუცია და ზოგიერთი ბურჟუაზიული წრეებიც კი მოითხოვდნენ ვილჰელმის გადადგომას და რესპუბლიკის გამოცხადებას, სოციალ-დემოკრატიას ეს საკითხი გადაჭრილი არ ჰქონდა. უფრო მეტი, იგი ფიქრობდა მონარქიის გადარჩენას. არ იფიქროთ, რომ ჩვენ ცილს ვწამებდეთ გერმანელ სოციალ-ფაშისტებს. არა, თვით ფილიპ შეიდემანი გვიდასტურებს ამას:

„1918 წ. 8 ნოემბერი. საღამოს 5 საათზე კაბინეტის სხდომაა. იმპერატორი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ გადამდგარა. გარშემო ხალხი ძლიერ შეფიქრიანებულია მდგომარეობით. ვინ იქნება მაშინ მეფე ან რეგენტი?...

„. . . ებერტი უკანასკნელ წუთამდე ფიქრობდა, რომ შესაძლებელია საყოველთაო აჯანყების აცილება თავიდან, თუ ეხლავე იქნება ჩამოგდებული ზავი და მთავრობა წავა პოლიტიკურ დათმობებზე“...

„როცა 1918 წ. ნოემბერში მუშებისა და ჯარისკაცების რაზმმა გამომათრია მე რეიხსტაგის სასადილოდან და მაიძულა მელაპარაკნა შეკრებილი ხალხის წინაშე და მეც, მართალია—ყოველივე საამისო საფუძვლის გარეშე, მაგრამ როგორც ეს გასაგებია (?) სოციალ-დემოკრატის მხრივ (?!) ავლაპარაკდი რესპუბლიკაზე, იმავე ამხანაგმა სასტიკად მისაყვედურა“...

შეიდემანი ადასტურებს, რომ ის ძალით გამოათრიეს გარეთ და რომ ის რესპუბლიკაზე ალაპარაკდა ყოველივე საამისო საფუძვლის გარეშე —ე. ი. პარტია არც ფიქრობდა რესპუბლიკაზე, მაგრამ შეიდემანი იძულებული იყო გამოეცხადებია ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ვინაიდან კარლ ლიბკნეხტმა იმპერატორის სასახლის აივნიდან დაასწრო მას გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადება. ამ „აჩქარებისათვის“ შეიდემანს მაგრად მოხვდა ებერტისაგან, რომელსაც ნაკისრები ჰქონდა დინასტიის გადარჩენა და ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავარ სარდლობასთან საიმედო ჯარების გაგზავნის შესახებ ბერლინში რევოლიუციის ჩასაქრობათ.

ბერნშტეინთან დავაში კაუცკიმ დასთმო მარქსიზმის პოზიციები და ფაქტიურად მიიღო ბერნშტეინის დებულებები: კაპიტალიზმის პირობებში მასების გაღატაკების და სამრეწველო კრიზისების უარყოფის შესახებ და ამრიგად გილფერდინგი მხოლოდ იმეორებს კაუცკის, როცა სწერს, რომ

„კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა მერყეობა მცირდება. კრიზისები, ან ყოველ შემთხვევაში მათი გავლენა მუშებზე, შერბილებული იქნება. დამოკიდებულება შრომასა და კაპიტალს შორის უფრო მტკიცე ფორმებს იღებს. უმუშავრობა ნაკლებ საშიში ხდება“-ო.

როგორც ვხედავთ, ოფიციალური სოციალ-დემოკრატია არასდროს არ ყოფილა არც კაპიტალიზმის და არც მონარქიის მტერი. მან დიდი ხანია ირჩია კაპიტალიზმის მკურნალისა და მრჩეველის როლი და პირნათლად ასრულებს ამ მოვალეობას.

***

„. . . ცილის წამებაა იმის მტკიცება თითქოს სოციალ-დემოკრატიას უნდოდა რევოლიუცია ან მოამზადა იგი. ეს არის ჩვენი მტრების სულელური სააგიტაციო ტყუილი“.

განაცხადა შეიდემანმა 1922 წ. ივნისში ბერლინში გამართულ კრებაზე.

და როცა რევოლიუციამ მაინც იფეთქა სოციალ-დემოკრატების სურვილის წინააღმდეგ, ისინი შეეცადნენ ეს რევოლიუცია არ გამხდარიყო გერმანიის კაპიტალიზმის მესაფლავედ. ისინი ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ მუშათა კლასის ყოველ რევოლუციონურ გამოსვლას. მათ შიშის ზარს სცემდა საბჭოთა გერმანიის ლოზუნგი. ისინი არ მოერიდნენ პროლეტარიატის ბელადების კარლ ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის აშკარა მკვლელობასაც (ამ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა ფ. შეიდემანის სიძე—ოფიცერი—მონარქისტი).

„. . . მე დავსთანხმდი ამაზე (ლაპარაკია მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის იარაღით ჩაქრობაზე-ე.წ.), თუმცა ვიცოდი, რომ გერმანიის მთელს ისტორიაში მე გამათრევენ „სისხლიანი ძაღლის“ სახელწოდებით. მე შევასრულე ეს სისხლიანი სამუშაო, რადგან ვხელმძღვანელობდი მოვალეობის ღრმა შეგნებით. მაშინ მე უთხარი ჩემს თავს: ვინმემ ხომ უნდა აკეთოს ისტორია, მაგრამ ჩემთვის ნათელია, თუ რას ნიშნავს ეს: რომ მე გერმანიის მთელს ისტორიაში უნდა გავიარო სისხლიანი ძაღლის სახელით“.

„. . . მე გავაკეთე ორი დიდი საქმე, რომელთა შესახებ კიდევ ილაპარაკებს ისტორია, როცა მე მოვკვდები. ეს არის ქვეყნის განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან და განოვერის შენარჩუნება პრუსიის ფარგლებში“,

ტრაბახით განაცხადა გერმანიის მუშათა კლასის უდიდესმა ჯალათმა ნოსკემ ვეიმარისა და განოვერის პარტიულ ყრილობებზე. ოტტო ველსმა მხოლოდ გაიმეორა თავისი ამ „დამსახურებული“ ამხანაგის სიტყვები, როცა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია არავითარ ზომებს არ მოერიდება ანარქისტულ (იგულისხმე: მუშათა რევოლუციონური) გამოსვლების ჩასაქრობათ.

გერმანიის მენშევიკებმა ვერ შესძლეს მონარქიის გადარჩენა, მაგრამ მათ მოახერხეს კაპიტალიზმის გადარჩენა. რევოლიუციის პირველ ხანებში, მასებისათვის თვალის ასახვევათ, მათ წამოაყენეს მრეწველობის და ბანკების სოციალიზაციის ლოზუნგი, მაგრამ პარალელურად აწარმოებდენ „საიმედო ძალების“ მობილიზაციას მუშათა კლასის წინაღმდეგ და როცა ამ ძალების მობილიზაცია დაამთავრეს, მაშინათვე მოიხადეს ნიღაბი და მუშათა კლასისათვის სისხლიან აბანოების მოწყობით გაანთავისუფლეს ბურჟუაზია შიშისაგან კომუნიზმის აჩრდილის წინაშე.

***

მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიამ მენშევიკების აქტიური დახმარებითაც ვერ შესძლო კომუნიზმის ჩაკვლა. ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა, რომელიც ჰილფერდინგების წინასწარმეტყველების მიუხედავათ, ყოველდღიურად ღრმავდება და კატასტროფისაკენ მიაქანებს გერმანიას, შეუჩერებლად ავარვარებენ რევოლიუციონურ ატმოსფერას.

| 1.489.000 უმუშევარი | 4.096.000 უმუშევარი |
| --- | --- |
| 1929 წ. 1-ლ ივნისს | 1931 1-ლ ივნისს |

ასეთია უმუშევრობის ოფიციალური ციფრები. მრეწველობის პროდუქცია კატასტროფიულად ეცემა.

საშუალო თვიური პროდუქცია უდრიდა (ტონებში).

| | ნახშირის | თუჯის | ფოლადის |
| --- | --- | --- | --- |
| 1929 წ. | 17.000.000 | 1047.000 | 1.352.000 |
| 1931 წ. | 15.000.000 | 561.000 | 783.000 |

1929 წ. საგარეო ვაჭრობის საშუალო თვიური ბრუნვა (ექსპორტი-იმპორტი) შეადგენდა 2.245 მილიონ მარკას, 1931 წ. მაისში კი—1.383 მილიონ მარკას.

გერმანიის ფინანსები ამჟამად კატასტროფის პირზეა და რომ ამერიკის მიერ (გერმანიაში დაბანდებულ თავისი კაპიტალების გადასარჩენად) გამოწოდებული დახმარების ხელი არა, გერმანია ჩავარდებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა ინფლიაციის ხანაში.

თუ ოდესმე საჭირო იყო გერმანიისათვის საიმედო მკურნალი, ეს მით უფრო საჭიროა ახლა და გერმანიის სოციალ-ფაშისტებიც ერთი წუთითაც არ ივიწყებენ ამ თავის მოვალეობას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელი ყრილობა მუშათა კლასის ღალატის ისტორიაში შევა „კაპიტალიზმის ხსნისა და მკურნალობის“ ყრილობის სახელწოდებით უფრო მეტის უფლებით და საბაბით, ვიდრე გერმანიის ს. დ. რომელიმე სხვა ყრილობა.

ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზია განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ყრილობას. საკმაოა აღინიშნოს, რომ ყრილობას ესწრებოდა ასზე მეტი ჟურნალისტი, რომელთაგან

უმრავლესობას ბურჟუაზიული ჟურნალისტები შეადგენდენ.

გერმანიის ბურჟუაზიას ახლა განსაკუთრებულის სიძლიერით ესაჭიროება სოციალ-დემოკრატიის დახმარება. იგი ვერ მისცემს ნებას სოციალ-დემოკრატიას ითამაშოს „ოპოზიცია". დახმარება უნდა იყოს სრული და უყოყმანო. ყრილობას უნდა დაემტკიცებია, რომ სოციალ-დემოკრატია მზად არის ბოლომდე შეასრულოს თავისი როლი და მოვალეობა „გერმანულ სამშობლოს" წინაშე. ლეიპციგის ყრილობამ გადაჭარბებით გაამართლა ბურჟუაზიის იმედები. ამიტომ იყო, რომ 48-ე პარაგრაფის კანცლერის—ბრიუნინგის ორგანო „გერმანია" კმაყოფილებით სწერდა ლეიპციგის ყრილობის დამთავრების მეორე დღეს:

„ერთის წუთით თითქო წამოიჭრა უძველესი უთანხმოება სოციალიზმისაკენ თითქმის რევოლიუციონურ მისწრაფებებსა და გონიერ ევოლიუციას შორის. მაგრამ ყველაფერი დარჩა ძველებურად გადატანილი შორეულ მომავალში და დატოვებულ იქნა მხოლოდ ევოლიუცია დემოკრატიის ნიშან ქვეშ".

მართალია, ყრილობის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელთაგანი **ტარნოვი** იძულებული შეიქნა ეღიარებია **რუდოლფ ჰილფერდინგის** „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" თეორიის გაკოტრება, მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებდა იმას, თითქო გერმანელი სოციალ-ფაშისტები უიმედოთ თვლიან კაპიტალიზმის მდგომარეობას.

„ახლანდელი კრიზისი თავისი მოცულობით და სიღრმით, მართალია სჭარბობს, ყველა წინანდელ კრიზისებს, მაგრამ მაინც გვაქვს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ კაპიტალისტური მეურნეობა ჰპოებს გამოსავალ გზებს. **ჩვენ იძულებული ვართ ვიყოთ მკურნალი, რომელმაც უნდა უექიმოს კაპიტალიზმს**, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ბედი ქვეყნის, რომლისთვისაც ჩვენა ვართ პასუხისმგებელი", განაცხადა ტარნოვმა ყრილობაზე.

ტარნოვის მოხსენების გარშემო კამათში გამოსული ბრეიტშეიდი და სხვ. ამართლებდნენ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას და **იცავდენ ბრიუნინგს ბრალდებებისაგან, რომ ის ატარებს ფაშისტურ პოლიტიკას.** სამაგიეროდ ისინი არაფერს ერიდებოდნენ საბჭოთა კავშირისა და კომპარტიის წინააღმდეგ გალაშქრებაში.

მეტად საგულისხმოა ეს ყრილობა ე. წ. „მემარცხენეთა" მოღალატური ტაქტიკის გამოსამჟღავნებლად. ამ ყრილობაზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ე. წ. „მემარცხენეები" წარმოადგენენ ნიღაბს, რომლითაც გაფაშისტებულ სოციალ-დემოკრატიას სურს თავისი შელანძღული პრესტიჟის შენარჩუნება მასებში, რომ ე. წ. „მემარცხენეებს" არაფერი პრინციპიალური არ აშორებს პარტიის ოფიციალური კურსისაგან, რაც მათ დაამტკიცეს ხმის მიცემით ყრილობის რეზოლიუციებისათვის.

ამრიგად ლეიპციგის ყრილობა დასრულდა სოციალ-დემოკრატიის შემდგომი ფაშიზაციის პოლიტიკის სრული გამარჯვებით.

მცირეოდენ მწარე წუთები აგემა პარტიულ ხელმძღვანელობას სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის დემონსტრაციამ, ჩატარებულმა რევოლიუციონური ლოზუნგებით და ქანდარებზე დაშვებულ მუშების ყოფაქცევამ. უკანასკნელნი აღშფოთების ხმებით ხვდებოდენ მენშევიკ მინისტრების გამოსვლებს და მხურვალე ტაშით ეგებებოდენ „ოპოზიციონერებს", ეს იყო პირველ სხდომაზე. **მეორე სხდომაზე მუშები უკვე არ დაუშვეს. მათი ადგილი „დაკავებული" აღმოჩნდა პარტიულ და პროფჩინოვნიკების მიერ.**

ყრილობის დახურვის წინ „მემარცხენეებმა" გააკეთეს ახალი „ოპოზიციონური" ჟესტი. შეიტანეს რეზოლიუცია, მიმართული ბრიუნინგის დიქტატორული დეკრეტის წინააღმდეგ. რეზოლიუცია, რასაკვირველია, უარყოფილი იქნა, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდათ მის ავტორებსაც.

ველს-კრისპინ-ბრეიტშეიდები ზეიმობენ გამარჯვებას და მათთან ერთად მთელი გერმანიის ბურჟუაზიაც.

„ბერლინერ ტაგებლატ" აღფრთოვანებით იუწყებოდა რომ **სოციალ-დემოკრატიული ყრილობის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შედეგად აქციების კურსმა მეტად აიწია:**

„სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ —დადებითი პოზიცია დაიჭიროს ბრიუნინგის მთავრობის მიმართ — საუკეთესო გავლენა მოახდინა ბირჟის განწყობილებაზე".

განა უკეთესი ატესტაცია შეიძლება სოციალ-დემოკრატიისათვის! ბირჟა — მუშათა კლასის მტრების შტაბი — კმაყოფილია მენშევიკებით, ისინი არ გასცემენ მას! ღალატის წრე დასრულებულია.

***

მაგრამ გერმანიის გაძვალტყავებული მასები უკვე გამოდიან სოციალ-დემოკრატიის გავლენისაგან. 5 მილიონი უმუშევარი, ამდენივე სანახევროდ უმუშევარი შემცირებული ხელფასით და მუშათა კლასის მთელი დანარჩენი ნაწილი აღარ იცდიან სულთმობრძავი კაპიტალიზმის „მობრუნებამდე", მათ არ სურთ უკანასკნელის გადარჩენა, ისინი უფრო და უფრო მკაფიოდ აყენებენ კაპიტალიზმის დასამარების ლოზუნგს.

მართალია, ლეიპციგის ყრილობაზე მენშევიკებმა „დაძველებულად" გამოაცხადეს მარქსის ლოზუნგი, რომ „პროლეტარიატი არაფერს დაჰკარგავს გარდა თავისი ხუნდებისა"-ო, ისინი დაემუქრენ მუშათა კლასს, რომ თუ კომუნისტების ლოზუნგს გაჰყვება, ის დაჰკარგავს „სოციალურ უზრუნველჰყოფას", მაგრამ ეს მუქარა არ აშინებს მუშათა კლასს, რომელიც ნათლად ხედავს, რომ სოციალ-დემოკრატიის წყალობით მას ისედაც ეცლება ხელიდან სოციალური უზრუნველყოფა, მოპოებული 1918 წ. ნოემბრის ბრძოლის შემდეგ. 6.675.900,000 მარკიდან, რომელსაც უდრის სოციალური დაზღვევის ფონდი, სახელმწიფო იხდის მხოლოდ 1.165.500.000 მარკას, დანარჩენ 5.510.400.000 მარკას იხდიან თვით მშრომელები — ხელფასიდან იძულებითი გამოქვითვის გზით. ეს თანხა ამჟამად გადიდებულია ექვს მილიარდ მარკამდე. გერმანელი მუშა იხდის: დახმარებისათვის ავადმყოფობის შემთხვევაში — 6%, უმუშევრობის — $6^1/_2$%, ინვალიდობისათვის — 5-6%, მემაღაროეთა პენსიების ფონდში — 2-7 პროცენს, სულ 25%-დე. 1930 წ. სოციალური დაზღვევის ფონდიდან გაცემულ იქნა 5.546.600.000 მარკა. გამოდის, რომ სახელმწიფომ სოციალურ დაზღვევაზე დახარჯა სულ 36.000.000 მარკა, დანარჩენი თვით მუშებს წააგლიჯა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმ დროს, როცა მუშათა ანარიცხები სოციალური დაზღვევის ფონდში გაადიდეს, მენშევიკ შრომის მინისტრის ვისელის განკარგულებით სოციალურ დაზღვევისათვის გასაცემი თანხა შემცირებულ იქნა 1.683.000.000 მარკით, რომელიც მოჰპარეს მუშებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ გერმანიის მშრომელ მასებს სრულიად არ აშინებს „სოციალური უზრუნველყოფის" დაკარგვის პერსპექტივა. მათ აღარ სურთ, რომ მათი თანხებით გერმანელმა მენშევიკებმა ჯავშნოსნები ააგონ ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად.

რაც კი პატიოსანი დარჩა გერმანიის სოც.-დემოკ. პარტიაში, გარბის სოციალ-ფაშისტების ბანაკიდან.

„ჩვენ არ გვინდა ვიყოთ კაპიტალიზმის მკურნალები",—გაისმის მენშევიკურ პარტიაში, რომელსაც სტოვებს ხალხი ათეულ წლების სტაჟით.

კომპარტიის გავლენა ყოველდღიურად იზრდება სოციალ-პოლიციელების რეპრესიების მიუხედავად. საბჭოთა გერმანიის ლოზუნგს მასები ითვისებენ, როგორც გაძვალტყავებისაგან, სიმშილ-სიცივისაგან, იუნგის ყაჩაღური გეგმისა და მოკავშირე ბანდიტ-იმპერიალისტების მუხრუჭებისაგან განთავისუფლების ლოზუნგს. „საბჭოთა გერმანია ნიშნავს სამუშაოს, პურს, მიწას და თავისუფლებას" (ტელმანი).

გერმანიაში უკვე ისმის მოახლოვებული სოციალური გრიგალის გუგუნი, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერც ჰუვერისა და ვერც სხვა გეგმეიბ



ლენინგრადის რაიონი — ტორფის ამოღება.



პირველი საბჭოთა საბეჭდი მანქანა, რომელიც გამოუშვა ლენინგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

# მძაფრი დღეები

(გაგრძელება)

## II

## თავდასხმა ღამით

მაღლობზე, სახლის წინ იდგა ხახა დაფჩენილი, ნახევრად ბრეზენტ გადაფარებული ორი საველე ქვემეხი.

მოშორებით დადიოდენ წ ო წ ო ლ ა, თეთრ-ქუდიანები.

მაყვალისფრად ათანთალებული, ძარღვიანი, გაჯაფული ულაყები ტორავდენ მიწას და განუწყვეტლივ ჭიხვინებდენ...

ისმოდა სხვა და სხვა ხმები.

შედიოდენ სახლში.

სახლი იყო ქვითნაგები. დაბალი. წინ დანგრეული თივის ზვინები ეყარა.

შიგ ოთახი დაბალჭერიანია. კედლების გასწვრივ ჩამორიგებული იყო თოფები.

ჩალეწილ ფანჯრებში ფსტვენს ქარი. ფანჯრების იქით მოსჩანს ველმინდორი, შენობების ფერადი სახურავები, ნაცრისფერი ცა და თეთრი ბინდიანი სივრცე.

ექაჩებიან განუწყვეტლივ მახორკას და ოთახში დგას თუთუნის ბოლი, ფეხის, თოფის საწმენდ ზეთის, მოხარკული მზესუმზირას სუნი.

ისინი მხიარულად იცინიან, თუმცა ჯერ კიდევ ყველას ყურში უჟღის განვლილი ბრძოლის სიმწარენი.

აგონდებათ განვლილი ბრძოლები, როცა ფეხს ისე ვერ გადაადგამდი, რომ მიწა სისხლით არ ყოფილიყო მორწყული და არტილერია, საბარგულეები ისე ვერ გაივლიდა მებრძოლთა ძვლები არ გადაემტვრია. .

მაგრამ ისინი მაინც იცინიან...

—აბა, დაუკარ, დაუკარ!

—ისე ბიჭებო, ვიმხიარულოთ! ეგებ ხვალინდელი მზე ვერც ვიხილოთ!

აჭყიპინდება გარმონი და ფეხების ბაკუნს მიჰქონდა ბოლში გაწოლილი მყუდროება.

ფანჯარასთან ლულაგაყოფილი მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევს მიტმასნია ჯარისკაცი და სივრცეში იხედება.

ზოგს ძირს მაზარა დაუგია და წამოწოლილა.

ზოგი იფურთხებოდა და ჩაჟანგულ კბილებიდან ყრის უწმაწურ სიტყვებს

ზოგი გაზანგულ ტანისამოსს ასუფთავებდა.

—ბიჭო სტეპო! შენი დუნია ეხლა ვინ იცის, რომელ აფიცერს ამოუწვება!—ხუმბრობს ერთი.

—მაგისი დედაც! რას ვჩივი... მივალ და ისევ მე ამოუწვები!

—პასუხობს მეორე და ამაზე სხვები იცინიან, ლაზღანდარობენ.

***

ამავე დროს ქალაქის ბოლოს ხეების ჩრდილებში იდგა გუშაგი.

ღრუბელი ნისლივით იშლებოდა ჰორიზონტზე ისე, რომ ძალიან ახლოს ძლივს თუ გაარჩევდი საგანს.

შრიალებდა ქარი და ღრუბელ დაძონძილი ცა ირხეოდა ნელა.

სოველ მაზარაში, თეთრ ბოწოწიან ქუდში იდგა გუშაგი და ყოველ შერხევაზე ცქვიტავდა ყურებს.

... უცებ თითქოს ცა ჩამოინგრაო, იქუხა... გაყინულ სივრცეში აბზინვლდა ლილისფრად რაღაც.

გაჰქრა.

დადგა ბოლი ნისლივით.

მერე უკან თითქოს მიწა გასკდა და აღმოხდა ბლავილი, ჰექა, ქუხილი, ხრიალი.

გუშაგი დაეცა. ხმაურში მიწვა.

წამოცვივდა ფარაჯიანი ხალხი. შიცვივდენ იარაღს.

—დავიღუპეთ!

—დაგვეცენ პარტიზანები!

. . . . . . . . . .

—ისროლეთ!

—ისროლეთ!

—საით ვისროლო!



მევენახეობის საბჭოთა მეურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ვის ვესროლო, რომ არავის არ ვხე-
დავთ!

ბუზღუნებდენ დაბნეულნი.

........

და ისევ: შუა ადგილას იქუხა, ავარდა ნამსხვრევებად საწყობი და ყუმბარების ყუთები საზარელი ღრიალით გასკდა.

ირგვლივ ისეთმა ხმაურმა მოიცვა არე —გვგონებოდათ თვალწინ, მიწიდან ამოქუხა ცეცხლმა და მთელი შენობები, ქალაქი, სადგური, რაღაც გამოურკვეველ ბნელში ჩაეშო.

და თითქოს: ეს ხმაური, ეს ბღავილი ეს კივილი და ხრიალი, თითონ შენობების დარჩენილ დარაბებიდან, თვით ქალაქის ცალიერ, ბნელ ქუჩებიდან, სადგურიდან, ჯავშოსანიდან ამოხეთქილი სასოწარკვეთილების კივილია.

სადგურის ბაქანზე მიბჟუტულ ფანარს ვიღამაც ხიშტი ჰკრა და სინათლე ჩაქრა

(ალბათ სიფრთხილისათვის)

ირგვლივ გაწოლილი იყო შავი სივრცე, ღამე და ტელეგრაფის მავთულები ზუზუნებდენ ნესტიანად.

დანგრეულ რონოდებიდან ვიღაც ახმახმა, ახალგაზრდა გამოათრია.

ახალგაზრდა თრთოდა საშინლად. თითქოს კანკალებდა.

რონოდიდან სხვებიც გამოვიდენ და რა ნახეს ახალგაზრდა ახმახ კაცის ხელში იკითხეს....

—ვინ არის?!

—ჯაშუში! იყო პასუხი.

(მაგრამ არავინ იცოდა ვინ იყო!)

ახმახის ხელში პატარა ლითონმა იელვა.

ახალგაზრდა ბორბლების, ფიცრების აბურდულ მავთულების იქით გაიყვანეს.

გაისმა სროლა, კვნესა და მიჩუმდა სივცე ისევ.

* *
*

სადგურზე ლტოლვილები ირეოდენ.

გარბოდენ ქალაქიდან.

ირღვეეოდა ფრონტი და ოფიცრები თუ ჯარისკაცები მიიპარებოდენ ბნელით.

—აი, ერთი მათგანიც:—

—იკივლა ორთქლმავალმა და ამოძრავდა.

მემანქანესთან იდგნენ მხარაბრჭყვიალებულნი ოფიცრები და აცახცახებული ხელში ეჭირათ ნაგანი.

—ჩქარა! ჩქარა!

თუხთუხებდა ორთქლმავალი.

ყრიდა ცეცხლს, ბოლს და მოჰკიოდა ბნელს.

ბნელში შრიალებდენ ყუმბარები და წიოდენ ტყვიები.

—ეს ხომ ღალატს ნიშნავს?!

—რა?!

—ასე უკითხავად გაქცევა!

—მე სიცოცხლე მიყვარს! მე ბრძოლა არ მინდა!

—ეს სხვა არის მაგრამ!...

—შენ ყველაფერზე „მაგრამ"-ს გაიძახი!

—მაშ, როგორ მოვიქცეთ!

—აი ასე... მოვშორდეთ ქალაქს! ჩქარა გააქროლე!

—მაგრამ გზა, რომ არ ვიცით როგორია!—ამბობს მემანქანე—შეიძლება ლიანდაგი აყრილია!

—გასწი, გააქროლე!

ორთქმავალთან შრიალებდა ბნელი.

მიჰქროდა დაფეთებულივით.

—მერე გერასიმ, ჩვენ ნაწილს სად დავხვდეთ!

—არსად! ჯანდაბას იქით მაგათი თავი!

—ეს როგორ?!

—იმათი არაფერი არ მინდა! სამი წელიწადია მშობლები არ მინახავს, სამი წელიწადია ღამეებს ქარში, წვიმაში, თოვლში, ყინვაში ვათენებ და მეყოფა.... არ შემიძლეია...

მემანქანემ სვლა შეანელა.

ჰკითხეს;

—რატომ?!

უპასუხა:

—ახლოს ხიდია!

—მერე რაა! გააქროლე! გასწი!

ორთქმავალი მიჰქროდა ისევ.

წინ ბნელი იყო და არც ხიდი მოსჩანდა და არც საგნები...

მემანქანე გადაჰყურებდა სივრცეს.

ბნელში, ლიანდაგის გასწვრივ აბრწყინდა რაღაც.

—ალბათ, ხიდი ახლოსაა, მაგრამ ეს სინათლე რას ნიშნავს?

მისცა სიგნალი.

სინათლე ჩაჰქრა.

აბღავლდა ორთქლმავალი ისევ.

სინათლე არ არის.



ოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი)

—დაილუპეთ! თავს ვუშველოთ!—წამოახრიალა მემანქანემ.

დაიბნენ ოფიცრები.

რა იყო ვერ გამოერკვიათ, რომ ტყვიასავით გაქანებული ორთქმავალი ბლავილით, აყირავებით გადაეშვა ხევში. ჩაიმსხვრა. ასე დაიღუპენ სიცოცხლის მოყვარული ოფიცრები.

იქ კი ქალაქის ცალკე უბნებში ზოგი ოფიცერი წესრიგის დაცვას ცდილობდა

აი ისიც:

ნაცრისფერ შენობის წინ მაღალი, წვერებ მოშვებული ოფიცერი უყვიროდა ჯარისკაცს...

—შე ძაღლის ლეკვო, ვინ მოგცა უფლება საგუშაგოს დატოვების!

—მე ცნობისათვის მოვედი!

—ჰმ, სცრუობ!

—პარტიზანები თავს დაგვესხენ, რა მექნა მარტო!

ირგვლივ წიოდენ ტყვიები. შრიალებდენ ყუმბარები.

—მე შენ ამისათვის დაგხვრეტ! გესმის

უთხრა ეს. ამოიღო რევოლვერი და ისაა ესროლოს-რომ ყუმბარა ყრუ შრლიალით დავარდა მათ გვერდით.

ქვები, მიწა, აყარა სივრცეში და ორივენი იქვე სისხლში მიწვნენ.

***

სამხრეთის ფრონტზე უკანასკნელ გასროლისაგან მოღრეცილი ზარბაზანი ეგდო თხრილში და ბუჩქებს შორის ჩასაფრებული—იყვნენ ჯარის კაცები.

წინ იდგა ოფიცერი ზიმშკინი: მაღალი. პატარა, წითური პირსახე—თვალები ვიწრო დაწკურვამდე და ცხვირი არწივისებრ.

—ესროლეთ!

ბრძანა ზიმშკინმა, როცა შეამჩნია მოწინააღმდეგენი. (საპასუხოთ ოდნავ თუ შეირხენ ჩასაფრებულები).

—ესროლეთ!—წამოახრიალა ისევ—მთელი ძალღონით, მაგრამ ბუჩქებიდან იცქირებოდენ დაღლილი სახეები ჯარისკაცების.

მოწინააღმდეგე კი შეუჩერებლივ მოფორთხავდა თხრილებში და ყოველ წუთში განადგურებით ემუქრებოდა.

ზიმშკინმა ერთხელ კიდევ სცადა ჯარისკაცების დამორჩილება და საცოდავად წამოახრიალა რაღაც, მაგრამ ხედავდა რა არავინ ყურადღებას არ აქცევდა (სისხლი თავში აუვარდა, რომ იტყვიან) შეშლილივით მოახტა შავად აღრენილ ტყვია-მფრქვევს, მოაბრუნა სანგრებისკენ და ტყვიები ჩეჩქივით დააყარა.

მაშინ წამოცვივდენ ჭუჭყიანი მაზარებით ჯარისკაცები და ზიმშკინი ხიშტზე აავლ...

***

ინკა შულიაევი, დე ფრიკთან ერთად ჩამოშორდა ნესტორს და შტაბისკენ გაიქცა, სადაც ლავინი ეგულებოდა.

შტაბისკ კარები დაკეტილი დახვდათ. შეამტვრიეს

დერეფანში უწესრიგოთ ეყარა ტელეფონი, ტელეგრაფის აბურდული მავთულები, მაზარები, ქუდები, ვაზნები, გადაბრუნებული ტყვიის-მფრქვეველები, გრანატები...

ინკა ლავინის კაბინეტის კარებს მიადგა. იქ, სადაც რამოდენიმე ხნის წინად მისი ბრწყინვალება სილას აწნევდა და ბრძანებაში სწერდა „დაიხვრიტოს“...

შევიდნენ. არავინ არაა. შეალეს მერე ოთახის კარები. შეიხედეს. ბნელიდან ტყვიამ გაიზუზუნა.

ინკა და დე ფრიკის კედელს აეფარენ იქიდან, ბნელიდან კი ისევ ისროდა ვილაც. პირველმა ტყვიამ კინაღამ იმსხვერპლა ინკა. ყურთან გაუარა.

—ის არის! ცოცხლად ჩავიგდოთ ხელში! უთხრა ინკამ დე ფრიკს მე შემოუვლი შენ აქ იყავი, არ ესროლო!-და წუთშივე ინკა ოთახიდან გავიდა. ნელა მიუახლოვდა ფანჯარას, სადაც იდგა ლავინი და ისროდა. ინკამ რევოლვერის ტუჩით მინა ჩაამტვრია და საფეთქელთან მიადო ლულა.

შეჩედრი! არ დაინძრე!—მიაყვირა ინკამ და გონება დაბნეულ ლავინს იარაღი ხელიდან გაუვარდა.

დე ფრიკი უმალ შევარდა ოთახში და მისი ბრწყინვალებას მხრებიდან ეპოლეტები ჩამოაგლიჯა.

—უკაცრავად! მე მგონია, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ! უთხრა ინკამ—თქვენ ერ „დახვრეტილ“-ინკა შულიაევის ხელში იმყოფებით! წამობრძანდით შტაბში!

ლავინმა კბილები გაახჭრიალა.

—წამობრძანდით!-მიმართა ინკამ ისევ და რამოდენიმე ხნის შემდეგ ლავინი ქალაქის ბნელ ქუჩაში მიყავდათ დაპატიმრებული...

***

უკანასკნელად სადგურის გვერდით პატარა შენობიდან ავარდა ცეცხლი და ბნელი, შავად გადმოხურული ცისკენ მიიკლაკნებოდა ცეცხლის ლურჯად მბზინავი ენები...

ეს ლავინელებმა წაუკიდეს ცეცხლი.

შარაზე, თხრილებში, თვალუხედვად გადაშლილ მინდვრებზე, სადაც აკვნესებული ღამე ფართხალებდა ბუჩქებ შორის ბნელ ფიგურებად მირბოდა ფარაჯიანი ხალხი და უკან სტოვებდა ქალაქს შიშში, დაჭრილთა კვნესაში, ცეცხლის ალში...

და საგუშაგოზე გუშაგი არ იდგა.

საგუშაგოზე გამოუვალ სევდით მოთქვამდა, ჰლმუოდა გაწანწალებული ქარი.

არ ისმოდა წინანდებურად გარმონი. ხმა, დედის გინება, ცხენების ფრუტუნი და ძახილი.

წავიდა სადღაც შორს, ქალაქ გარედ. არ სჩანს მხრებზე ეპოლეტებ აბრჭყვიალებული კეთილშობილნი.

საგუშაგოდან მოხსნილია საველე ზარბაზანი, რომელიც წუთის წინ გრუხუნებდა და გაცოფებული ცეცხლს დორბლად ჰყრიდა.

წაიღეს.

არ სჩანს საერთოდ ფარაჯიანი ხალხი წავიდნენ.



**წითელი არმია ბანაკად**

ზევით— წითელარმიელები ეცნობიან ზარბაზანს.

# მუშათა გამომგონებლობის ენტუზიასტები

ნახატი ვ. კროტკოვის



ამხ. გ. ნატროშვილი
(სარემონტო ქარხანა)



ამხ. კ. ქუთათელაძე



ამხ. ლ. დემენტიევი (დეპო)



ამხ. ვ. ეგოროვი



ამხ. ს. ლიჩელი (ტრამვაი)



ამხ. ვ. ჩომახიძე (დეპო)

---



[illegible] სტუდენტთა ქალაქის მშენებლობა

# დამკვრელი ალექსანდრე

ზამთრის სუსხიანი დილა ჯერ ისევ ღამის სიბნელეში იყო გახვეული, შეკუმშული შავი ღრუბლები თბილისის მიდამოებში გულშემზარავად იყო ჩამოწოლილი, მაგრამ ზაჰესის ელ-შუქები განათების მუქარით არ უშვებდენ ახლოს და თავიანთ ენერგიას ფენდენ მუშების დაუშრეტელ საქმიანობას.

ღამის სიბნელის აღსასრულის ნიშნად, ასტყდა ორთქმავალთა შემკეთებელ ქარხნის საყვირი, რომლის ვულკანივით ამოვარდნილმა ორთქლმა შეარყია ჰაერის გაყინული ზეწარი. მის ხმაზედ ახმაურდენ თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნების საყვირებიც, შეირყა სიბნელის უხეში დაწოლა, შეინძრა ქუჩების გაშეშებული მყუდროება, მუშების უამრავ ფეხის ხმებმა აახმაურა ქუჩები, დაიწყეს მხიარული სრიალი გაყინულ რელსებზე, ტრამვაის რონოდებმა.

სადგურ ტფილისშიც დაიკივლა სიცოცხლით ალსავსე ორმა დიდმა ვეშაპმა, რომლებიც შებმოდენ ასოც-ათას ნავთის პროდუქციას ბათომში წასაღებად, ორთქლმავალთა საყვირებს გამოეხმაურა საგუშაგო ისრებზე მდგომი მეისრეთა სიგნალის სტვირების ხმები, იმის ნიშნად, რომ სადგურიდან გასასვლელი გზა მომართულიყო, ერთი მაგრად ამოიხვნეშეს დიდმა ორთქლმავლებმა და ელვის სისწრაფით და გუგუნით გაცვინდნენ ავჭალის ველებისაკენ.

ქარხნის ყველა შემოსასვლელ კარებში მუშები აჩქარებული სუნთქვით შემოდიოდენ, მერე კი მიეშურებოდენ საამქროებში თავიანთ დაზგებზე. სალითონო საამქროში თუჯის ღუმელები ისე იყვნენ გახურებული და გაწითლებული ანტრაციტის ქვა-ნახშირით, რომ გასათბობად მუშებს ახლო არ იკარებდენ.

ჯერ მეორე საყვირი არ აეშვათ, რომ მუშები შემოსხდომოდენ შორი-ახლოს ღუმელებს და ლაპარაკობდენ გუშინდელ ნამუშევარის ნაყოფიერებაზე, პროდუქციის გაუმჯობესებაზე, მის გაიაფებაზე, წუნზე, გოგიც ლაპარაკობდა კოოპერატივებზე, სახკვების მნიშვნელობაზე და სხვა.

ერთი ღუმლის ირგვლივ, რამდენიმე მუშა გაჩუმებული ისხდა. მათ თითქმის შემოლეოდათ სალაპარაკო. ღუმელს მიუახლოვდა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც სიარულში და ტანის რხევაში ეტყობოდა, რომ იგი ცოცხალი და მოძრავი ვაჟი იყო. ტან-დაბალი, შავი უხვი თმა, შავი წარბები, თვალები დიდრონი, კაკლის შავი წენგოსავით ბჭყვრიალა გიშერივით.

— გამარჯვება თქვენი! მოაძახა ღუმელთან მსხდომ მუშებს ყმაწვილმა.

— გაგიმარჯოს ბიძია!-უპასუხა ყველაზე უწინ მოხუცმა მუშამ.

— რა გინდა ბიჭიკო, რომ ასე ადრე ამდგარხარ, ჯერ შენ უნდა გეძინოს—უთხრა მოხუცმა.

— რას ამბობ, ძია, მეძინოს კი-არა, სიხარულით მთელი ღამე არა მძინებია.

— როგორ, ასეთი რა სასიხარულო ნახე, რომ ღამე არა გძინებია?

— სასიხარულო ისაა, ჩემო ბიძია, რომ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლიდან გადმომაგზავნეს ამ საამქროში მოწაფედ, დღეის შემდეგ უფრო ყოჩაღათ მოვიქცევი, შევისწავლი ხელობას, ჩემს თავსაც ვარგებ და ჩემს მშობლებსაც.

ალექსანდრე განცვიფრებაში მოყავდა უზარმაზარ საამქროს მოწყობილობას. ის გაბრწყინებული სახით უყურებდა ორ დიდ უზარმაზარ თუჯის სადნობ ღუმელს, რომელსაც ისე დაელოთ პირი, რომ თითქოს გადაყლაპას უპირებდენ უამრავად დაგროვილ ლითონსო, ის უყურებდა მაღლა ატყორცნილ ტვირთწევის საბრუნავ ონკანებს, კოპების საშრობს, რომლის ყაფაზები გავსილი იყო მრავალი ჯურის ორთქლმავალ რონოდოთნაწილების კოპებით. შიგ კი დიდი ცეცხლი შლიდა კალთებს და ყოველ კუთხეს აწვდიდა თავის სიმხურვალეს. ალექსანდრემ ძალაუნებურად წარმოსთქვა.

ნახატი „ხარმას“- ბრიგადის



დამკვრელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ვხედავ ასეთ უცნაურ რამეს, რომელშიაც ცეცხლი ძლივს ეტევა.

ის უყურებდა სილ·დგან ამოყრილ სხვა და სხვა ლითონის ნაწილებს, რომლებიც ჯერ ისევ ცხელები იყვნენ და არ გაციებულიყვნენ, მიუხედავათ იმისა, რომ გუშინდელი ჩამოსხმულები იყო, მით უმეტეს ალექსანდრეს გაუკვირდა როდესაც მან ერთი დიდი ყალიბი ნახა, რომლიდანაც ცეცხლის ალი ამოდიოდა.

— ეს რა არის? — შეეკითხა იქვე მდგომ მუშას.

— ანდა რათ ამოდის მიწიდან ცეცხლი?

— ეს გახლავთ დიდი მანქანის დასადგამი, რომელიც წუხელის ჩამოასხეს. წონით ოთხასი ფუთია და ორ სამ დღეს არ გაცივდება.

## II

ალექსანდრე ამავე ქარხნის შემკრებ საამქროს მუშის შვილი იყო, მისი მამა ორმოცდათვრამეტი წლის, ხშირ,ად ეტყოდა თავის ბიჭიკოს.

— ერთი მოვესწრო შვილო, რომ სახელოსნოში მიგილონ, რომ დარდი არ მქონდეს შენი. ალექსანდრე ჭკვიანი ბავში იყო, იგი თავის დროზე შევიდა პიონერ ორგანიზაციაში, მუშაობდა კოლექტივში კედლის გაზეთზე და თუ რამეს დაავალებდენ, დაუზარებლად ასრულებდა, ამიტომ იგი პირველად გადაგზავნეს საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში და მერე შემკეთებელ ქარხანაში.

ალექსანდრეს სახე უბრწყინავდა, პირზე ღიმილი მოსდიოდა სალითონო საამქროს სანახაობით, ის არ ჩერდებოდა, ყოველ წუთს მოელოდა ახალ სამუშაოს, რომ აქაც დაემსახურებინა კარგი მოწაფის სახელი.

აუშვეს მესამე საყვირი, მუშებმა მიაშურეს თავიანთ საქმეს სიმამაცით, რადგან განსაკუთრებულ კვარტალის უკანასკნელი სამი დღე იყო დარჩენილი და ამავე დროს ცნობა იყო მოსული, რომ ქარხანა იმარჯვებდა საკავშირო კონკურსზე, ამიტომ მუშები ცდილობდენ, რომ გამარჯვების ცნობა გამართლებულიყო.

ჩვენი ალექსანდრე საამქროს ადმინისტრაციამ დანიშნა სადაზგო განყოფილებაში გერმანულ დაზგაზე, სადაც ყალიბდება თუჯის ბუქსები ახალგაზრდა ალექსანდრე, როგორც ირმის ნუკრი, ისე დახტოდა ერთ დაზგიდან მეორე დაზგამდე.

ის გულის ფანცქალით ელოდა დამდნარი ლითონის დანახვას.

მოვიდა შუადღეც, დაიწყო გუგუნი თუჯის სადნობმა ღუმელმა, რომელსაც გაუმაძღარი ვეშაპივით პირი დაეღო და ცეცხლს ყრიდა პირიდგან მას ათეულ და ასეულ ფუთებს აყრიდნენ პირში და ვერ ძღებოდა. საამქროს ფარდობი გაივსო ასეული ყალიბებით. დაირაზმნენ მეორე ცვლის ხუთწლედის გმირები, ლითონის ჩამომსხმელები.

მოხუცმა მანტიორმა ვასომ, დაკრა ზარი იმის ნიშნად, რომ წყლად ნაქცევი ლითონის სი·ხე გამოსაშვები იყო.

— აბა კოვშები — დაიძახა თუჯის გამომშვებმა. მუშები დაყოფილი ხუთ წყვილად, მისცვიდენ ჭურჭლებს დამდნარ თუჯის ასაღებად. გაემზადნენ მუშები, ლითონის გამომშვებმა დაუწყო, ფრთხილად იმ ადგილს ჩიჩქნა რკინის ლომით საიდანაც უნდა გამოსულიყო ლითონი. გამოჩნდა სიწითლე, ამ დროს ალექსანდრეს უჯავრდებოდენ რომ მოშორებოდა იმ ადგილს, მაგრამ ის ერთ ადგილიდან მეორეს ეხეთქებოდა და მაინც ახლო ჩერდებოდა.

ლითონის გამომშვებმა უკანასკნელად დაჰკრა გამოსაშვები და დიდი ვეშაპის მუცელში, როგორც შუბი ისე დაატრიალა, გამოხეთქა წითელმა აბობოქრებულმა ცეცხლის ნიაღვარმა, მოედო მთელ საამქროს ცეცხლის მფრქვევ ვარსკვლავთა გამომხატველი ნაპერწკლები, გაივსო ხუთი კოვში ერთ წამში. შრომის გმირებმა გააქანეს ყალიბებიბისაკენ და დაუწყეს ავსება.

ალექსანდრე გაკვირვებით უყურებდა ყველა ამას და უფრო გაიტაცა ხელობის შესწავლის სურვილმა, მისი ოსტატი სიმონ ქვრივიშვილი განცვიფრებაში მოიყვანა ალექსანდრეს სიმამაცემ, საკვირველი ის იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, ალექსანდრე უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა, როგორც ხელოსანი, ის ათეულ ბუქსებს აყალიბებდა, როგორც ძველი მუშა, ცარიელი ყალიბები მძიმე იყო, სავსე ხომ იყო ერთი ორად სახელმწიფო შრომის კანონთა კოდექსის ძალით მოწაფის მძიმე სამუშაოთი დატვირთვა აკრძალული იყო, რადგან ახალგაზრდა დაიჩაგრებოდა მაგრამ ალექსანდრე მაინც ებრძოდა მძიმე საქმეს.

ალექსანდრე მეშვიდე ჯგუფიდან იყო გამოსული, იმისთვის რომ შეგეხედნათ, ვერ წარმოიდგენდით, რომ ის თხუთმეტ წლისაზე მეტი ყოფილიყვეს, ძალიან ტანდაბალი იყო.

ის იბრძოდა წარმოებაში მძიმე ტვირთვის დასაძლევად, გადიოდა დღეები, — დრო და რამდენიმე ხნის შემდეგ ცქვიტი და სიცოცხლით სავსე ალექსანდრეს დაეტყო რაღაც არა ნორმალურობა, მას უწინდელივით სახე აღარ უციñოდა ის თანდათანობით მიეცა ფიქრს და დაღვრემილობას, რამდენიმე ხნის წინად, როგორც ციყვი, ისე დახტოდა დაზგიდან დაზგამდე, მას განუწყვეტლივ უცინოდა სახე, ახლა კი მისცემოდა ფიქრებს და ვინ იცის რას არ ფიქრობდა, რა აწუხებდა ახალგაზრდას, რა სენს შეეპყრა იგი, საბაბი რა იყო რომ აქნობამდე ცქვიტი და მხიარული ალექსანდრე ასე შეცვლილიყო, თუმცა კიდევ ყოჩაღათ იქცეოდა.

ალექსანდრეს თვალები სიბრალულით გამოიყურებოდენ, თითქოს თხოულობს შებრალებას და გაჭირვებაში დახმარებასო. მან არავის გაუზიარა თავისი დარდი, მის დაზგაზე ყოფნის დროს ორი მუშა გახდა ავად, ის-კი სულ მუშაობდა, მუშების ავადმყოფობის მიზეზი იყო ის, რომ ამ დაზგებზე მუშაობა ძალიან მძიმე იყო, ალექსანდრეც შეუპყვრია წელის და გვერდების ტკივილს, ის თავის გაჭირვებას არავის ეუბნებოდა. გულში განუზრახავს გამგესთან მისვლა და თხოვნა იმისა, რომ ის გადაეყვანა სხვა, ცოტა მსუბუქ სამუშაოზე. მან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა მაშინ, როდესაც ძველი წლის განსაკუთრებულ კვარტალში საამქრო გამარჯვებული გამოვიდა გეგმის შესრულებით.

დამკვრელი მუშა

**ივანე ნაზარბეგოვი**

# უკრაინის ხელოვნების გამოფენა თბილისში







# უცხოეთის ქრონიკა



**მონობა და იძულებითი შრომა კოლონიებში.** მკითხველებს ახსოვს, თუ რა განგაში ასტეხა კაპიტალისტურმა პრესამ „იძულებითი შრომის-გარშემო, რომელიც ვითომდა არსებობს საბჭოთა კავშირში. ეს ჭორი მათ დასჭირდათ მორიგი ანტი-საბჭოთა კამპანიისათვის, მაგრამ კაპიტალისტური გაზეთები ჩქარა იძულებული შეიქნენ ხელი აელოთ ამ „იარაღზე“, რადგან ვერავითარი დამადასტურებელი ცნობა ჩვენში იძულებითი შრომის არსებობისა მათ ვერ მოიყვანეს. სამაგიეროთ ამ ანტი-საბჭოთა კამპანიასთან დაკავშირებით ფარდა აეხადა ნამდვილ მონობის არსებობას კოლონიებში და ნამდვილ იძულებითი შრომის არსებობას კაპიტალისტურ ციხეებში.

სურათზე — ფეხში ბორკილგაყრილი პატიმრები სიამის ციხეში. ამ მდგომარეობაში მყოფ პატიმრებს ამუშავებენ სახელმწიფო სამუშაოებზე.





**გაფრენა სტრატოსფერაში.** 27 მაისს ბელგიელმა პროფ. პიკარმა თავის თანაშემწე კიპფერთან ერთად შეასრულა ისტორიული გაფრენა: თავისი კონსტრუქციის აეროსტატით მან მიაღწია 16 კილომეტრის სიმაღლეს და ე. წ. სტრატოსფერაში (სტრატოსფერა ეწოდება ჰაერის ფენას 10 კილომეტრს ზევით) დაჰყო 17 საათი. აქამდე სიმაღლის მსოფლიო რეკორდათ ითვლებოდა 13 კილომეტრი, რომელსაც 1927 წ. მიაღწია კაპ. გრეიმ. მეტად საინტერესოა პიკარის აეროსტატის გონდოლის მოწყობილობა. იგი სფეროსებურია, დამზადებულია მთლიანათ ლითონისაგან და ჰერმეტიულად იხსნება. გაფრენის დროს გონდოლის ლითონის კედლები არაჩვეულებრივად გახურდა მზის სხივების გავლენით. გონდოლაში სიცხე ზოგჯერ 41 გრადუსამდე აღწევდა იმ დროს, როცა გარეთ საშინელი ყინვა იყო. თუმცა გაფრენა მეტად დიდის წარმატებით დასრულდა, მაგრამ აერონავტებს მაინც მოუხდათ რამდენიმე მძიმე მომენტის განცდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაფუჭდა აეროსტატის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი — სარქველი, რამაც შეუძლებელი გახადა გაზის გამოშვება და მიწაზე დაშვება. მხოლოდ დაღამების შემდეგ, როცა შეწყდა გაზის გათბობა მზის სხივებით და მისი მოცულობა შემცირდა, აეროსტატმა იწყო დაშვება. გაფრენის დროს პროფ. პიკარმა მეტად საინტერესო მასალები შეკრიბა.

სურათზე — ზევით: პროფ. პიკარი და კიპფერი აეროსტატის გონდოლაში, მარჯვნივ პიკარის აეროსტატის გაფრენა.



**იერიში ჩრდილოეთ პოლიუსზე**

მიმდინარე წელს კაცობრიობას ახალი მძლავრი იერიში მიაქვს ჩრდ. პოლიუსზე. მოეწყო დიდი ექსპედიცია დირიჟაბლით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა მეცნიერები. გარდა ამისა, ამერიკელ კაპიტან ვილკინსს განზრახვა აქვს წყალქვეშა ნავით მიაღწიოს ჩრდ. პოლიუსს. პოლიუსისაკენ გასვლისას წყალქვეშა ნავი დაზიანდა. ლაპარაკი იყო, რომ ვილკინსმა ხელი აიღო თავის განზრახვის განხორციელებაზე მიმდინარე წელს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს არ ყოფილა მართალი. ვილკინსმა სასწრაფოდ შეაკეთა თავისი „ნაუტილუსი (იხ. სურათი) და დაიძრა პოლიუსისაკენ.



**სწვავენ და არბევენ სიბნელის კერას.** ესპანეთის რევოლიუციონური მასები „რესპუბლიკანური“ მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, განაგრძობენ ბრძოლას ნამდვილად რევოლიუციონური მთავრობის შესაქმნელად; მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას ხუცების წინააღმდეგ, რომლებიც მემამულეებთან და ხელისუფლების ორგანოებთან ერთად სისხლს სწოვენ მშრომელ მასებს. მუშები და გლეხები არბევენ და სწვავენ ბნელეთის მოციქულების ბუდეებს — მონასტრებს.

სურათზე — მშრომელთა მიერ დარბეული მონასტერი სევილიაში.





**განიარაღება სიტყვით — შეიარაღება საქმით.** ბურჟუაზია და სოციალ-ფაშისტები ბევრს ლაყბობენ განიარაღებაზე, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ სწყვეტენ შეიარაღებას. ამ გააფთრებულ შეიარაღებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ავიაციის და ფრენის ტეხნიკის განვითარებას. ამ რ ი მდენიმეხნის წინათ შეერთებულ შტატებში წყალში ჩაუშვეს უზარმაზარი მფრინავი ნავი, რომელსაც შეუძლია 20 ტონა (200 ფ.) ასაფეთქებელი მასალის გადატანა. ინგლისში ახდენენ ე. წ. ‚ბრმა‘, ფრენის ცდებს: მფრინავს წართმეული აქვს საშვალება დაინახოს გზა და აეროპლანი მიჰყავს მხოლოთ ხელსაწყოების ჩვენების მიხედვით. გვერდით მას უზის ხელმძღვანელი, რომელიც ასწორებს მფრინავის შეცდომებს.

**სურათზე — მარჯვნივ:** „ბრმა“ გაფრენა, **მარცხნივ:** სამხედრო მფრინავი ნავი.



**აეროპლანი მაშხალა.** შეერთებულ შტატებში აგებენ მაშხალიან აეროპლანს, რომელიც პროექტის თანახმად, განავითარებს დედამიწის მიმზიდველობის დასაძლევათ საკმაო სისწრაფეს. პროექტის ავტორის აზრით, ამ აეროპლანის საშვალებით შესაძლებელია მთვარემდე მიღწევა.

სურათზე — აეროპლან-მაშხალის პროექტი.



**გერმანიის ტრეპოვი.** გერმანია მივიდა კატასტროფამდე, რომელსაც დიდი ხანია წინასწარმეტყველობდა კომუნისტური პარტია. ვერც ჰუვერის გეგმამ და ვერც ბრიუნინგის საგანგებო კანონებმა ვერ გამოიყვანეს გერმანია კრიზისის ჩიხიდან. მასები ამოძრავდნენ. ისინი უფრო და უფრო თავისუფლდებიან სოციალ-ფაშისტების გავლენისაგან და ადგებიან რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის გზას კომუნისტური პარტიის დროშების ქვეშ. გერმანიის ბურჟუაზია უსაშინელეს ტერორს მიმართავს რევოლიუციონური მოძრაობის ჩასახშობათ. ამაში მათ აქტიურად ეხმარება სოციალ-დემოკრატია.

სურათზე — პრესის შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ პოლიციას მისცა ბრძანება „არ დაზოგონ ტყვიები" მუშათა რევოლიუციონური გამოსვლების ჩასაქრობათ.



ალმშენებლობაზე



**დედამიწის გარშემო გადაფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი.** 23 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე ორმა ამერიკელმა მფრინავმა **გეტტიმ და პოსტმა** შეასრულეს გადაფრენა დედამიწის გარშემო 110 საათის განმავლობაში მათ გაიარეს 23.580 კილომეტრი, რაც საშუალოდ შეადგენს 214,3 კილომეტრს საათში. გაფრენის მარშრუტი იყო: ნიუ-იორკ — ხარბოგრეის (ნიუ-ფაუნდლენდის შტატი)—ჩესტერი (ინგლისი) — ბერნილი—მოსკოვი—ირკუტსკი — ბლაგოვეშჩენსკი — ხაბაროვსკი—ნომი (ალიასკა)—ფერბენსკი (ალიასკა)—ედმონტონი (კანადა)— ნიუ-იორკი.

**სურათზე** — მფრინავები პოსტი და გეტტი.



ავტომობილი „რკილისზე."

# უკრაინის ხელოვნების გამოფენა ტფილისში







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა და სპორტი

შეიძლება ითქვას, რომ ფიზკულტურის დარგებიდან ფეხბურთი ყველაზე უფრო პოპულიარულია. არც ერთ სხვა შეჯიბრებას არ ესწრება იმდენი ხალხი, რამდენიც ფეხბურთს. აიხსნება ეს თვით თამაშის ხასიათით. ძლიერი გუნდების თამაში ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია.

ფეხბურთს, როგორც საერთოდ ფიზკულტურას, ფართო გასაქანი მიეცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ფიზკულტურა გარდაიქცა მშრომელთა გაჯანსაღების იარაღათ. ფეხბურთი გარდა იმისა, რომ ამაგრებს მოთამაშის ორგანიზმს, აძლიერებს მასში გამბედაობას, ანვითარებს სიმამაცეს და რთულ პირობებში სწრაფად გარკვევის თვისებას. ამ მხრივ ის დიდ როლს თამაშობს მშრომელი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში.

დგინეთ ემუშავნათ საკუთარ თავზე. მართლაც, ფეხბურთის ტეხნიკა ტფილისში ამჟამად საკმაოდ მაღალ დონეზე სდგას. „დინამო"-ს სახით ტფილისს ჰყავს გუნდი, რომელსაც შეუძლია გამარჯვების დიდი შანსებით შეეჯიბროს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქების გუნდებს. ეს დამტკიცდა მთელ რიგ მატჩებზე, რომლებიც გაიმართა წელს ჩამოსულ გუნდებთან. კიევი, ბაქო, გროზნო, მარიუპოლი, ქუთაისი—აი გუნდები, რომლებიც დამარცხებულნი წავიდნენ აქედან.

„დინამო"-ს გარდა („დინამო"-ს ჰყავს რამდენიმე გუნდი) პირველი კატეგორიის გუნდებიდან ტფილისში არსებობს სარემონტო ქარხნის, მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის გუნდები და სხვა. ამ ჟამად სწარმოებს პროფკავშირული გუნდების ჩამოყალიბება საწარმოო პრინციპით, რაც იწვევს მოთამაშეთა ერთგვარ გადაჯგუფებას. ამ ნიადაგზე ზოგიერთი გუნდები

დაწყებული მუშაობა გავაფართოვოთ და ფიზკულტურის ამ დარგის განვითარებას ნორმალური პირობები შეუქმნათ.

* *
*

უკანასკნელ სენსაციას ფეხბურთის დარგში წარმოადგენს ოსმალეთის ნაციონალური გუნდის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. ოსმალეთის ნაცი-



ბათომი.—ფიზკულტურელთა ვარჯიშობა ზღვის პირას.

* *
*

ონალურ გუნდს ერთერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მსოფლიო მასშტაბით. ამიტომ მეგობრული სახელმწიფოს ფეხბურთელებთან შეჯიბრებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ფეხბურთელებისათვის თამაშის ტეხნიკის გაუმჯობესების მხრივ. ოსმალეთის გუნდმა წელს ჩაატარა რამდენიმე ინტერნაციონალური შეხვედრა ლეიპციგის, ბულგარეთის, ავსტრიის და საბერძნეთის გუნდებთან. ყველა ეს შეჯიბრებები ოსმალეთის გამარჯვებით თავდებოდა.



შეჯიბრება კალათბურთში.

ოსმალეთის გუნდი პირველად საბჭოთა კავშირში იყო 1925 წლის დეკემბერში. მაშინ მათ წააგეს შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან. შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი იყო ანგორაში. ოსმალეთის გუნდმა აქაც წააგო.

პირველი შეჯიბრება ოსმალებთან გაიმართა მოსკოვში 17 აგვისტოს. მატჩი დამთავრდა 3:3. მეორე შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირი 3:2

შემდეგ სტუმრები გაემგზავრენ ლენინგრადში, სადაც წააგეს თამაში 4:5. ოსმალები შეჯიბრებებს ჩაატარებენ აგრეთვე ხარკოვში და ოდესაში.



შეჯიბრება ფეხბურთში.—ბურთი შედის ტფილისის ჭიშკარში.

ფეხბურთი საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება. განსაკუთრებით ძლიერია ეს დარგი ტფილისში. მაგრამ პროვინციასაც ჰყავს ძლიერი გუნდები. ფოთი, სოხუმი, ქუთაისი საკმაოდ დაწინაურდნენ უკანასკნელ ხანებში. დღეს საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი სოფელი, სადაც არ იდგეს ფეხბურთის ჭიშკრები და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა არ ავარჯიშებდეს თავის ფეხის კუნთებს.

* *
*

ამ რამოდენიმე წლის წინად ტფილისის სპორტიული სახელის დამცველად გამოდიოდენ უმთავრესათ ახალგაზრდა გუნდები, რომლებიც ვერ აღწევდენ დადებით შედეგს საქალაქთაშორისო შეჯიბრებებში. მეტი წილი ამ შეჯიბრებებისა ტფილისის დამარცხებით თავდებოდა.

მაგრამ დამარცხება ამავე დროს გაკვეთილი იყო იმისა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს გაეუმჯობესებიათ თამაშის კლასი და უფრო გულმო-



ფეხბურთი.—თამაშის ერთერთი მომენტი.

საგრძნობლად შესუსტდენ, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ხანგრძლივი ვარჯიშობა ახალგაზრდა გუნდებს წამოსწევს მოწინავეთა რიგებში.

* *
*

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც სხვა ქალაქები წინ მიდიან და ანვითარებენ ფეხბურთს, როგორც რიცხვობრივათ, ისე ხარისხობრივათ, ბათომი ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს ამ საერთო სურათში. ფეხბურთის კლასი ბათომში საგრძნობლად დაეცა. ნაწილობრივ ეს აიხსნება იმით, ბათომის საუკეთესო მოთამაშეთა ნაწილი ტფილისში წამოვიდა, მაგრამ მთავარი დანაშაული აქ ჩიუძლვის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ფეხბურთს. იშვიათად ხდება, რომ ჩამოსული გუნდი უკნებლად წამოვიდეს ბათომიდან. რამდენიმე მოთამაშეს მაინც ფეხს მოსტეხავენ. ბათომელებს ეს მიღწევად მიაჩნიათ. ფიზკულტურის საბჭო ხედავს ამას და არავითარ ზომებს არ იღებს. ფეხბურთელთა შორის არ სწარმოებს არავითარი კულტურული მუშაობა.

უკანასკნელ წლებში დიდ შედეგებს მიაღწია ფოთმა. ფოთის „დინამოს" წელს ჰქონდა რამდენიმე სერიოზული შეჯიბრება ჩამოსულ გუნდებთან. თითქმის ყველა ეს შეჯიბრებები ფოთელების გამარჯვებით თავდებოდა. ასე მაგალითად, ფოთმა მოუგო დონბასს, ოდესას და ქუთაისს. საინტერესო იქნებოდა ტფილისის და ფოთის გუნდების თამაში, მაგრამ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები უფრო შორეულ ქალაქებისაკენ გაიყურებიან, ფოთი კი გამოეპარათ მხედველობიდან.

დაწინაურდა ქუთაისიც. „დინამო-"ს სახით მას საკმაოდ ძლიერი კოლექტივი ჰყავს. სოხუმმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საჭიროა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერთა მოძრაობა უცხოეთში




პიონერთა დემონსტრაცია ბერლინში.



ნიუ-იორკი.—პიონერები მიდიან ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ მიტინგზე წარწერა. პლაკატზე წაშლილია პოლიციის მიერ.



ბერლინი.--ბავშვები მოითხოვენ სამუშაოს მამებისათვის